# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 მაისი, 2009 წელი.

№ 103 (6204)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# მივა საქმე „პენალტებამდე“?




## ილია II: ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აზრია ერთადერთი და ჭეშმარიტი




5

## „თუ პრეზიდენტი იმავე მმართველობას დაეყრდნობა, რომელსაც დღემდე ეყრდნობოდა, 2013 წლამდე მაინც ვერ მიაღწევს“

3



## მეამაყება, რომ ქართველი ვარ

3



2

## უჩვენეთ საქართველო საქართველოს!

რეპორტაჟი

# უჩვენეთ საქართველო საქართველოს!



## 26 მაისის მშვიდობიანი პროტესტი და SMS-ების ომი

**26 მაისს საქართველომ თავისებური რეფერენდუმი ჩაატარა. ოპოზიცია კი იქადნებოდა, ძალიან ბევრ ადამიანს გამოვიყვანთო, თუმცა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო, რომელიც სატელევიზიო არხებიდან თუ პრესიდან ჩანდა, მოლოდინი უფრო პესიმისტური იყო, ვიდრე ოპტიმისტური.**

შეიძლება ითქვას, რომ 26 მაისს სტადიონი ხალხს ვერ იტევდა. საპროტესტოდ გამოსულმა ადამიანებმა ხელჩაკიდებულმა უამრავჯერ შემოსძახეს, რომ **პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს!**

დაქსაქსული ოპოზიციის ხილვის მოლოდინის ფონზე პირიქითაც კი გამოჩნდა. ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერი ჩვეული პათეტიკით მიმართავდა ხალხს.

ყველაზე მეტი ოვაცია გამორჩეულად წილად ხვდა შალვა ნათელაშვილს, რომელმაც მისალმებით შემოუარა სტადიონს. ტაშითა და შეძახილებით შეხვდნენ „ეროვნული ფორუმის“ ლიდერს გუბაზ სანიკიძეს, გია ყარყარაშვილს, და, რაღა თქმა უნდა, „უცნობს“, რომელიც დასავლეთიდან წამოყვანილი მომხრეების თანხლებით, ხელში აყვანილი შემოაბრძანეს სტადიონზე.

ირაკლი ალასანია საზოგადოებას დაჰპირდა, რომ **შეიცვლება ხელისუფლება, ხელისუფლების შინაარსი და შეიცვლება ჩვენი მენტალიტეტიც!..**

გუბაზ სანიკიძემ, **ჩემო ერო, ეს დღე არასოდეს დამავიწყდება!**

კოკო გამსახურდიამ **26 მაისს საქართველოს დიდი შვილების დღესასწაული უწოდა.**

კობა დავითაშვილმა თქვა, რომ **დაიმახსოვრებს ამ დღეს და ამ წამს. აჩვენეთ მსოფლიოს და ჩვენს ხელისუფლებას ჩვენი ერთობა, ერთად ვიდგეთ და ერთად გავიმარჯვებთო.**

ემოციებით იყო სავსე ნინო ბურჯანაძის გამოსვლა, რომელმაც ასე მიმართა საზოგადოებას: **ქართველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ გმირი ხალხი ხართ. თქვენ დააშინეთ ის, ვისაც თქვენი შეშინება უნდოდა. საგულისხმოა, რომ 26 მაისი პრეზიდენტის გარეშე ტარდება, რომელიც მალე პრეზიდენტი არ იქნება. აგვისტოს ომამდე ბევრი რამის მოთმენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აგვისტოს ომმა არა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ბევრად უფრო საშიში იარაღი აგვაღებინა – ეს არის ხალხის რისხვა. მოვუწოდებ მსოფლიოს, შეხედეთ ამ ხალხს, ისინი არასოდეს შეეგუებიან შეურაცხყოფას, უსამართლობას, ეს ხალხი თავისუფლების ღირსია!..**



ხალხის ხმა შეიძლება მსოფლიომ გაიგო კიდეც, თუმცა იმ დროს პრეზიდენტ სააკაშვილს ნამდვილად არ გაუგია. ის მე-10 საჯარო სკოლაში მოსწავლეებს ლექციას უკითხავდა(!ძ და მონოლოგით იყო დაკავებული, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ხალხის რაოდენობა და მათი მოთხოვნები არაფერს ნიშნავს. მან თქვა, რომ სულაც არ უკვირს ამ ადამიანების პროტესტი, რადგან ისინი სოციალურმა სიდუხჭირემ გამოიყვანა. ამ განცხადების შემდეგ პრეზიდენტი ბათუმში გაემგზავრა, სადაც საღამოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრო.

ტელეკომპანია პირველმა არხმა პირდაპირ ტრანსლაციაზე ოფიციალური უარი განაცხადა, თუმცა „კავკასიისა“ და „მაესტროს“ გარდა, არც სხვა არხებს შეუწუხებიათ თავი. ტელევიზიები ამ დროს ხან პრეზიდენტის მიმართვას გვასმენინებდნენ, ხანაც ტელესერიალებს უჩვენებდნენ.

„კავკასიის“ არხზე კი ამ დროს SMS-ების ნამდვილი ქარცეცხლი დატრიალდა:

– მიშა, გაახილე თვალები და დაინახე, რა ხდება.

– რამდენი მოცლილი ყოფილა საქართველოში?

– 60 ათასი უსაქმური ყოფილა საქართველოში, საინტერესოა.

– გული მისკდება, შუაზე გახლეჩილ საქართველოს რომ ვუყურებ.

– ამას ჰქვია „გიჟების პარადი“.

– ამ ბოლმიან SMS-ებს რომ წერთ, შიშისგან გული გისკდებათ.

– მიშა რომ გარბის, მაშინ არის მაგარი

– რადგან ტაქსისტებს სახელი გაგვიტეხეს, ჩემს ქართველებს დღეს უფასოდ ვატარებ.

– მიშიკო გიჟიკომ ნერვიულობით მთელი გარდეროფი ჰალსტუხი გადალეჭა.

– რამ გაგაგიჟათ 60 ათასი კაცი, წადით სახლში.

– შეჯიბრი დაიწყო მიშას ფეხბურთელებსა და ოპოზიციის ფეხბურთელებს შორის. თამაში საქართველოს გადარჩენაზეა...

SMS-ების ომი ამ კითხვით დაიწყო – **სულ ესა ხართ?**

სხვა საქართველო და ქართველობა სხვაგან იყო ამ დროს და სტადიონზე არ იმყოფებოდა. ამათგან ზოგიერთი სტადიონზე შეკრებილებს თანაუგრძნობდა, ზოგიც – არა. მაგრამ სტადიონზე ყველა ის ადამიანი იდგა, ვისაც გასაჭირი აქვს და ეს პრეზიდენტმაც აღიარა. დალხენილი, მაძღარი, გაზულუქებული ადამიანები სტადიონზე არ მისულან.

ხალხს პოლიცია არ იცავდა, როცა ფეხბურთის – სეირის საყურებლად, გასართობად მისულ ადამიანებს ჩვეულებრივ უამრავი წესრიგის დამცველი იცავს ხოლმე. იქ წესრიგს პატრულის ნაცვლად, თავად ხალხი იცავდა.

სულმოუთქმელად ელოდა ყველა, რომ I არხის ხელმძღვანელობა პირად ამბიციაზე და შიშზე მაღლა დადგებოდა და სტადიონზე შეკრებილ ერს პირდაპირ ეთერში უჩვენებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, „სირცხვილის დერეფნის“ გამო, I არხმა შურისძიება გადაწყვიტა. სამაგიეროდ სტადიონზე მიმდინარე მოვლენების ხილვა ვისაც არ აინტერესებდა, შეეძლო, სიამოვნებით ეცქირა ნინო ქაჯაიასთვის, რომელიც თავგამოდებით გვიმტკიცებდა, თუ რა მშვენიერია ცხოვრება. ასეცაა, მაგრამ ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც(!ძ. სწორედ ამის გამო ვფიქრობ, რომ ამიერიდან ოპოზიციის მოთხოვნებს, ალბათ, კიდევ ერთი მოთხოვნა დაემატება: უჩვენეთ საქართველოს საქართველო!

და მართალიც იქნება!

**თეა მოსია**

ინფორმაცია

### „ხალხის პარტია“ რუსთაველის პროსპექტს ტოვებს?

**„ხალხის პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის ინფორმაციით, „ეროვნულმა ფორუმმა“ რუსთაველის გამზირზე თავიანთი საკნებიდან ხალხი გაიყვანა და საკნებიც აიღო.**

ამის შესახებ დავითაშვილმა „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში ოპოზიციის ლიდერთა კონსულტაციების დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

კობა დავითაშვილმა კომენტარი გააკეთა უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგებასთან დაკავშირებით.

როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, – „მყარი მომხრეა ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობის, თუმცა არ ემხრობა გადაჭარბებულ ურთიერთობას ამ ორ ინსტიტუციას შორის“. მიმაჩნია, რომ ხალხს აქვს უფლება, მიიღოს დალოცვა პატრიარქისგან, თუმცა ხალხმა თავისი საქმე თავადვე უნდა გააკეთოს. არ მჯერა, რომ ვინმეს დავალებით შეიძლება აიძულონ პატრიარქი, მისთვის სასურველი ფრაზებით ილაპარაკოს, – აღნიშნა დავითაშვილმა.

### „პოლიტიკურ პროცესებში პატრიარქი არ უნდა ჩაერიოს“

**სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საზოგადოებამ თავისი საქმე თავადვე უნდა გააკეთოს. ამის შესახებ „საქართველოს გზის“ ლიდერმა ოპოზიციის ლიდერთა კონსულტაციების დაწყებამდე განაცხადა, რომელიც „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში გუშინ მიმდინარეობდა.**

მისი თქმით, ყოველთვის მიიჩნევდა და არასოდეს არ ემხრობოდა იდეას პოლიტიკურ პროცესებში პატრიარქის ჩარევასთან დაკავშირებით.

მე ვთვლიდი და ვთვლი, რომ ჩვენი გასაკეთებელი თავადვე უნდა გავაკეთოთ და არ უნდა მივანდოთ ჩვენი ბედის გადაწყვეტა დასავლეთს ან თუნდაც უწმინდესს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

### „ტაძარში იმიტომ მივედით, რომ კურთხევა მიგვეღო“

**კონსერვატიული პარტიის ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, „ოპოზიცია პატრიარქისგან სხვა სახის განცხადების გაკეთებას არც ელოდა“.**

ერთგვარი დაბნეულობა და ვნებათაღელვა არსებობდა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს იმის მოლოდინი ჰქონდა, რომ პატრიარქი ოპოზიციის სასარგებლო გადაწყვეტილებას გააკეთებდა, თუმცა ბუნებრივია, ჩვენ კათოლიკოს-პატრიარქისგან ამას არც მოველით. ტაძარში მხოლოდ იმისათვის მივედით, რომ ერის სულიერი მამისგან კურთხევა მიგვეღო და მივიღეთ კიდეც ბრძოლის მშვიდობიანად გაგრძელების თაობაზე, – განაცხადა ძიძიგურმა, რომლის განმარტებითაც, პატრიარქისგან „სხვა სახის“ განცხადების გაკეთებას მომიტინგეთა ის ნაწილი მოელოდა, რომელმაც ხალხის სიმრავლის გამო სამებაში შესვლა ვერ შეძლო.

### „ნუ შეეცდებიან პატრიარქის შეწუხებას“



**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერ ეკა ბესელიას გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ხელისუფლების წევრების გამოჩენამ ბევრი შეკითხვა გაუჩინა.**

ამის შესახებ ბესელიამ „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში მოსვლისას განაცხადა, სადაც ოპოზიციის ლიდერები სათათბიროდ შეიკრიბნენ.

არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებას ჰქონდეს ზეწოლის მცდელობა საპატრიარქოზე. მე მივმართავ ხელისუფლებას, თავი დაანებონ პატრიარქს და ასეთი ტიპის მანიპულაციას. უწმინდესს ისედაც განსაკუთრებული როლი აკისრია ამ ქვეყანაში და ნუ შეეცდებიან მის შეწუხებას, – განაცხადა ბესელიამ.

მან აღნიშნა, რომ, შესაძლოა, უგულავა მართლაც მივიდა სამების საკათედრო ტაძარში, რათა გაეკონტროლებინა, რას იტყოდა პატრიარქი.

როგორც ბესელია აცხადებს, არ სჯერა, რომ უგულავა იქ ლოცვაზე დასასწრებად მივიდა.

გუშინ მთელი მთავრობა, ლამის სრული შემადგენლობით იმყოფებოდა წმინდა საკათედრო ტაძარში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ისინი ყურადღებით ისმენდნენ, თუ რას იტყოდა პატრიარქი ქადაგების დროს, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

ზეიმის შემდეგ

# მეამაყება, რომ ქართველი ვარ



**ენას ძვალი არ აქვსო, კი, ბატონო, მაგრამ ადამიანს შუბლის ძარღვიც ხომ აქვს და, რა თქმა უნდა, ტვინიც, და მისი კარნახით ენა უნდა მოითოკოს.**

26 მაისს, საღამოს „მარიოტში“ უცხოელ დიპლომატებთან გაბუდაყებული ერთი ჩვენი პარლამენტარი ერთ-ერთ „იმედელს“ ინტერვიუს ისე თავდაჯერებით აძლევდა, თითქოს ათი ათასობით გულანთებული მამულიშვილი არ ყოფილიყო პაიჭაძის სახელობის დინამოს სტადიონზე, შემდეგ აღმაშენებლის ქუჩის გავლით სამებას არ შემოეჯაროდა, იქიდან წამოსულნი პარლამენტის წინ არ მდგარიყვნენ და მერე...

ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართო, ყველას აქვსო თავისი აზრის გამოთქმის უფლება, რაღაც ამგვარები იბოდიალა იმ უსახურმა, რომლის სახელი და გვარი არაფერს ეუბნება ხალხს.

რაო, რაო, „ამომავალო ვარსკვლავო“, მომავალო ბოკერიავ, კუბლაშვილო, იაკობაშვილო თუ ვინცხარაცხავ?! მიმყუდროებულში, თბილ ჭერქვეშ, შამპანურით ტვინგაცხელებულო, თუ მაგარი ხარ, იქ მოსულიყავი, იმ ზღვა ხალხისთვის თვალებში შეგეხედა, მათი მგზნებარება გეგრძნო, მერე ვნახავდი. არადა, იქ რაც ხდებოდა, იმის აღწერას ვერც ენა, ვერც კალამი, თვით ყოვლისშემძლე ტელევიზიაც ვერაფრით შეძლებს. ეს საკუთრივ უნდა იხილო, იგრძნო, განიცადო.

მე და ჩემი მეგობრები დილით ადრე მივედით სტადიონზე. მიმტკიცებდნენ, თუ სკამი არ დაიკავეთ, მერე ადგილი არ იქნებაო. არადა, სტადიონს რომ გადავხედე, ამხელა სივრცეს რა ამოყორავს-მეთქი. სკამზე რა დამსვამდა და სამხრეთის ტრიბუნის ჭიშკრისკენ მოაჯირს მივეყრდენი. იქ, ჩემს გვერდით ერთი ასე ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდა იდგა, ინტელიგენტი, განათლებული. — დღეს რაღაც ხალხი არ ჩანს და ან გული გამისკდება, ან ამ მოაჯირიდან თავქვე გადავეშვები, მილიონნახევრიანი თბილისი თუ შინ დარჩა და ამ ხელისუფლების უზნეობა ითმინა, მაშინ ამქვეყნად რაღა მესაქმებაო.

— ნუ გეშინია, ჰიპოდრომზეც ასე იყო შარშან, მაგრამ მერე სამასი ათასი მოჯგროვდა-მეთქი.

თუმცა მე თვითონაც დიდად შეფიქრიანებული გახლდით. მერე რაც მოხდა, ყველამ იხილა. მე, ლამის საუკუნეს მიღწეულს, ამდენი ხალხი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების დღეს მინახავს თბილისში, შემდეგ 1956 წლის 9 მარტს და ახლა ეს 26 მაისი, ამდენი შეურაცხყოფილი, აღშფოთებული, აბუჩად აგდებული ადამიანი კვლავ საკუთარი ქართველობის, ღირსების, საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების მომავლის გადასარჩენად გამოსული... მერედა, რა საზოგადოება! არაფერს ვამბობ ნონა გაფრინდაშვილზე, ოთარ მეღვინეთუხუცესზე, სხვებზე და სხვებზე. იქ მისულს ნაღები ქართველი ინტელიგენცია, ელიტა და გამწევი ძალა, მუშათა კლასი, გლეხობა ასე დარაზმული დამხვდა. ამ ადამიანებით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

50 ათასი კაცი იყოო, „რუსთაველები“ ისევ და ისევ ცრუობენ, თვალში ნაცარს გვაყრიან, ხალხს აბრიყვებენ. სტადიონზე ხომ 62 ათასი სკამია! შემოსასვლელები გადატენილი, გალავანზე ათასობით ადამიანი და კიდევ ბევრი და ბევრი სტადიონის სარბენ ბილიკებსა თუ ეზოში.

ნეტავ მათ ტვინებში ჩამახედა, თუკი გააჩნიათ, თუნდაც 62 ათასი ყოფილიყო, როგორ, ისინი ადამიანები, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან?! თუ ესენი მართლა ხელისუფალნი არიან, მაშინ ყველა საკუთარ მოქალაქედ არ უნდა მიაჩნდეთ? თუმცა ამ პრეზიდენტზე, ვაი-პარლამენტზე, ხელისუფლებაზე საუბარი არ ღირს და არც ვაპირებ. მე 26 მაისს კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ საქართველო და ქართველი ერი უძლეველია და გაიმარჯვებს, უსათუოდ გაიმარჯვებს!

**გივი ჯახუა.**

***P. S. 26 მაისს „კავკასიის“ ეთერში ესმესი გავიდა: გაგიმარჯოთ ქართველებო, თბილისელი სომეხი ვამაყობ თქვენით!***

ინფორმაცია

## „ძალიან მწვავე ნაბიჯებს გადავდგამთ“

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ხელისუფლება საზოგადოების სამართლიან პროტესტზე რეაგირების ნაცვლად კვლავ ახალი ნაბიჯების გადადგმას განაგრძობს.**

**მისივე განმარტებით, ოპოზიციასა და საზოგადოებაში საბრძოლო განწყობილება არ შეცვლილა და ისევ არსებობს მზადყოფნა, ბრძოლა გაგრძელდეს სამართლიანად.**

**არ ვაპირებთ ერთი ნაბიჯით უკან დახევას. ვიქნებით ძალიან აქტიურები და ძალიან მწვავე ნაბიჯების გადადგმას დავიწყებთ, დასძინა მან.**

## საკნები ზაფხულის სეზონის ესთეტიკის მიხედვით

**„ახალი მემარჯვენეების“ ოფისში მიმდინარე ოპოზიციის ლიდერთა კონსულტაციები გუშინ პირველებმა ფიქრია ჩიხრაძემ და კოკა გუნცაძემ დატოვეს და მცირე კომენტარი გააკეთეს პრესისთვის.**

**კოკა გუნცაძის თქმით, საკნები არ იქნება აღებული და ბრძოლა გაგრძელდება.**

**ბრძოლას კი გააგრძელებს იმდენი ოპოზიციური პარტია და იმდენი ადამიანი, რამდენიც დარჩება. ხოლო აქციები უფრო ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს და, რა თქმა უნდა, იქნება მშვიდობიანი, — აღნიშნა გუნცაძემ.**

**ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით შეიცვლება საკნების ფორმატი. კონკრეტულად, საკნებს აღარ დაჭირდებათ ე.წ. ცელოფნები, ლეიბები და საბნები და, შესაძლებელია, საკნებმა მიიღოს სხვა ფორმა, უფრო ესთეტიური და ლამაზი.**

## „ქართველი ხალხი აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულ დამოუკიდებლობას“

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა აცხადებს, რომ 26 მაისი იყო ქართველი ხალხის ზეობა და ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხის დამარცხება შეუძლებელია.**

**გუგავას თქმით, ქართველი ხალხი დაიბრუნებს დაკარგულ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და აუცილებლად გათავისუფლდება იმ რეჟიმისაგან, რომელსაც დღეს ხელისუფლება აქვთ უზურპირებული.**

**ჩვენ უნდა დავუგდოთ ყური ხალხის რჩევას, მათ ნებას, მათ სურვილს უნდა მივყვეთ. უნდა ვიყოთ უკომპრომისოები, უნდა ვიყოთ შეუვალები ამ ბრძოლაში და თავისუფლება, ზეიმი, გამარჯვება, ამ ქვეყნისა ამ ხალხისა ახლოსაა, — განაცხადა გიორგი გუგავამ.**

## „უნდა დასრულდეს ჩიხური ვითარება“

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე გაავრცელა 25 მაისს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებისაკენ მოუწოდებს.**

**როგორც ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა დაასრულონ ჩიხური ვითარება, რაც ქუჩაში არსებობს.**

**აშშ და ევროკავშირი მოუწოდებენ ყველა ქართველს, პატივი სცენ კანონს, ერთგულნი დარჩნენ საქართველოს კონსტიტუციის, თავიდან აიცილონ ძალადობა და პატივი სცენ მშვიდობიანი პროტესტის უფლებას.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ექსპერტის აზრი

***ხვალინდელ დღესაც ისეთივე ინტერესით ელოდება საზოგადოება, როგორც 9 აპრილის შემდეგ ელოდა. ბუნებრივია, ერთმნიშვნელოვანი პასუხი — თუ რა მოხდება არავის არა აქვს, მაგრამ, ალბათ, საგულისხმოა ექსპერტების შეფასება, რას ფიქრობენ ისინი და რას ელოდებიან 26 მაისის საპროტესტო მიტინგის შემდეგ.***

***ნომრის სტუმარია პოლიტოლოგი იგორ კვესელავა.***

# იგორ კვესელავა: თუ პრეზიდენტი იმავე მმართველობას დაეყრდნობა, რომელსაც დღემდე ეყრდნობოდა, 2013 წლამდე მაინც ვერ მიაღწევს

## ოპოზიციის მოთხოვნები სამართლიანია, მაგრამ მათ შორის ბევრი — არარეალური

**— ბატონო იგორ, როგორ შეფასებას აძლევთ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. არის თუ არა კრიზისი და თუკი არის — როგორი ფორმა აქვს მას?**

— კრიზისთან დაკავშირებით მოსაზრებები დაყოფილია. თუკი ვიტყვით, რომ პოლიტიკური კრიზისია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, თუმცა ჩვენი ხელისუფლება არა თუ პოლიტიკურ, არამედ ამ ეკონომიკურ კრიზისსაც კი არ აღიარებს.

ჩემი აზრით, ჩვენ ვდგავართ ეკონომიკური კრიზისის ზღვართან, ანუ ჯერ ამის ძლიერი ტენდენციები შეინიშნება მხოლოდ, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სოციალურ კრიზისს.

ჩვენი ხელისუფლება იმ პიროებას ვერ ასრულებს, რომელიც მან ოთხი წლის წინათ ამომრჩევლის წინაშე დადო, ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა და სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდებოდა. პირიქით, უმუშევართა რიგებს კიდევ უფრო მიემატნენ ადამიანები. ჩემი აზრით, ქვეყანაში სწორედ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. თუმცა საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს პოლიტიკური მოთხოვნები აქვთ. სოციალური მოტივები საერთოდ არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ. სასამართლო კიდევ უფრო მართული გახდა, არ არის დამოუკიდებელი მედია, რაც პირდაპირ არის მიბმული ადამიანის უფლებების დარღვევებთან.



დღევანდელ მიტინგებზე ადამიანების უფლებების შელახვაზე აკეთებენ აქცენტს და იმ უმსგავსობებზე, რომელიც სწორედ დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობამ გამოიწვია.

**— ამერიკის შეერთებული შტატებიდან კიდევ მილიონები გადმოირიცხება სწორედ ამ სფეროებისთვის. მაგრამ მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა გამოასწორებს მდგომარეობას, თუკი სახელმწიფოს ნება არ იქნება?**

— რა თქმა უნდა, თანხები საჭიროა, კიდევ უფრო მაღალი ხელფასები შეიძლება ჰქონდეთ მოსამართლეებს... მაგრამ ამერიკა იმიტომ რიცხავს ამხელა თანხას, რომ საქართველო მისი ინტერესების სფეროა. ეს არ არის მხოლოდ სამეგობრო, როგორც ამბობენ ხოლმე. ამერიკა კავკასიას არ დაკარგავს, ამიტომ ის ყოველთვის ეცდება, ჩვენთან ჰყავდეს დასაყრდენი ჯგუფი. ამიტომაც შეუწყო ხელი „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილს და ამ ხელისუფლების მოსვლას. თუკი შეიცვლება ხელისუფლება, მოვა ის, ვინც აუცილებლად გაატარებს ამერიკის ინტერესებს.

**— „მიშა-2“-ს საშიშროებად აღიქვამენ საქართველოში, მაგრამ თვითონ მიშა რამდენად გამოადგა ამერიკას? ეჭვი ამის თაობაზე აგვისტოს ომის შემდეგ გამოითქვა, რადგან რუსეთთან ომს თითქოს თეთრი სახლი მხარს არ უჭერდა.**

— თავის დროზე ამერიკამ გამოკვეთილი სამი ლიდერიდან სწორედ სააკაშვილს დაუჭირა მხარი. იმიტომაც, რომ მას ჩვენთან ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. თუკი ბურჯანაძეს, ან ჟვანიას ექნებოდა ხალხის მხარდაჭერა, მაშინ მათ დაუჭერდა მხარს. შევარდნაძის წასვლა უკვე დროის საკითხი იყო.

**— შევარდნაძე თერთმეტ თვეში ისედაც მიდიოდა. რა საჭირო იყო ასეთი სწრაფი რევოლუცია?**

— იმიტომ, რომ შევარდნაძეს უნდოდა თავისი კლანი მოეყვანა და თვითონ ყოფილიყო მრჩეველი. ის იქნებოდა ქართველი დენ სიაოპინი, მას მემკვიდრეებიც კი შერჩეული ჰყავდა.

იხ. 4 გვ.

## ექსპერტის აზრი

(მესამე გვერდიდან)



# იგორ კვესელავა: თუ პრეზიდენტი იმავე მმართველობას დაეყრდნობა, რომელსაც დღემდე ეყრდნობოდა, 2013 წლამდე მაინც ვერ მიაღწევს

**— ვინ იყვნენ ესენი?**

— ერთ-ერთი იყო ირაკლი მენალარიშვილი, მეორე — გია ჭანტურია და მესამე, ლადო ჭანტურია.

**— და არა სააკაშვილი ან ჟვანია?**

— მემუარებში წერს, რომ თითქოს ზურაბ ჟვანიას მოიაზრებდა მემკვიდრედ, მაგრამ მისთვის ჟვანია აბსოლუტურად მიუღებელი იყო. იმიტომ, რომ ის არ მისცემდა შევარდნაძეს რჩევების მიცემის უფლებას.

**რაც შეეხება სააკაშვილს, ის შევარდნაძემ სპეციალურად გადაიყვანა პარლამენტიდან მინისტრად, რათა ჩაეძირა. რადგან მინისტრის გათავისუფლება უფრო ადვილი იყო, მაგრამ სააკაშვილი პიარ-ტექნოლოგიების ძლიერი მცოდნეა და გამოყენებაც დიდებული იცის. დღეს ისეა ამ ტექნოლოგიებში გაწაფული, რომ მას „პიარჩიკი“ თითქმის არც სჭირდება.**

თქვენს კითხვას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ სააკაშვილი ამერიკას ნამდვილად გამოადგა, რადგან საქართველო მის გარეშე ნაბიჯსაც რა დგამს. აგვისტოს ომიც მათი თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა. მათ ეს სჭირდებოდათ საქართველოში ანტირუსული განწყობილების შესაქმნელად და შექმნეს კიდეც.

**— ამერიკელებისთვის ამოწურა თუ არა სააკაშვილმა თავისი მისია?**

— არა, ჯერ არ ამოუწურავს, თუმცა ახალ ადმინისტრაციაში იმ ვერსიასაც განიხილავენ, რომ შესაძლებელია ეს ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალოს. „ვარდების რევოლუციის“ გეგმა მეორდებოდა. აქ მოვა პიროვნება, რომელიც მისაღები იქნება ამერიკისთვის, მაგრამ ამავე დროს მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება რუსეთისთვის.

**— ასეთი ვინ გვყავს, თქვენ აზრით?**

— გამოიძებნებიან ასეთი პოლიტიკოსები. უკვე გვყავს ასეთი ლიდერები: ბურჯანაძე, რომელსაც აქვს ძლიერი ინტელექტი, პოლიტიკური გამოცდილება და ორგანიზაციის ნიჭი. მას თავისი შეცდომები, ხალხთან ურთიერთობით, პლუსის დონეზეც კი აჰყავს. ასევე არიან „ეროვნული ფორუმი“ (შარტავა, რომელსაც არ უმუშავია სტრუქტურაში და გასვრილი არ არისძ და ალასანია, რომელიც გაწონასწორებული პოლიტიკოსია. არსებობენ ქვეყნის გარეთ ლიდერები, რომლებიც შესაძლოა უცბად გამოჩნდნენ...

**— ბატონო იგორ, თქვენ თითქმის მოიაზრეთ ესა თუ ის პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ იქამდე აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა. მოხდება თუ არა ეს, დავუშვათ, 26 მაისის შემდგომ?**

— მე მინდა ოპოზიციას ვუთხრა, რომ ეს ასე მალე არ მოხდება. მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების შენარჩუნების დიდოსტატია. 26 მაისს 80 ათასი კაცი გამოვიდა, მერე რა იქნება? ხელისუფლებამ მისაღები ტაქტიკა აირჩია — არ მივაქციოთ ყურადღება და თანდათან საპროტესტო მუხტი შემცირდებაო. და ასეც მოხდება.

26 მაისის შემდეგ იქნება 27, 28, იქნება ივლისი, აგვისტო და სექტემბერი...

**— და იქნება სააკაშვილი?**

— იქნება პრეზიდენტი სააკაშვილი. მაგრამ სააკაშვილი არ იქნება ისეთი და ისე როგორც ახლა. მიხეილ სააკაშვილმა უნდა დაიწყოს და დაიწყო კიდეც საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, პრეზიდენტის უფლებების შემცირება. ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი ერთად ისტორიაში არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ამერიკას, მაგრამ იქ დემოკრატიის ხარისხი მაღალია. ჩვენ კი მხოლოდ დემოკრატიის ზოგიერთ პრინციპს თუ ვიზიარებთ, ხოლო დემოკრატია არა გვაქვს.

**სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებს ვერ გამოაცხადებს, რადგან ის ვერ მიიღებს მესამედ მონაწილეობას, ამიტომ მას ისღა დარჩენია, სწრაფად მოახდინოს მთავრობის რეორგანიზაცია, სასამართლოს თავმჯდომარედ მოიყვანოს ოპოზიციისა და საზოგადოებისთვის მისაღები კაცი, I არხის ხელმძღვანელი შეცვალოს, ასევე შეცვალოს ცესკოს თავმჯდომარე და ახლავე დაიწყოს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა. რაც არ უნდა გაჯიუტდეს ოპოზიცია, დიალოგი მაინც მოხდება ამ საკითხებზე. სააკაშვილი არ არის შევარდნაძე, სააკაშვილი არ არის ის კაცი, ასე ადვილად დათმოს ხელისუფლება.**

**— ასეთ დროს რა უნდა ქნას ოპოზიციამ. რა შეცდომები დაუშვა მან თუნდაც 9 აპრილიდან დღემდე?**

— ოპოზიციის ამ სპექტრს რომ ვუყურებ: ძველებს, ახლებს, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ესენი დღეს განაწყენებული ადამიანები არიან. მათ „განაწყენებული ხალხის“ სინდრომი სჭირთ, რაც საერთოდ ქართულ პოლიტიკას ახასიათებს ხოლმე. ასევე დაამხეს გამსახურდია და შევარდნაძე.

სალომე ზურაბიშვილი, გოგა ხაინდრავა, ზურაბ ნოღაიდელი რომ არ გაენთავისუფლებინათ მინისტრობიდან, ან იმ ზოგიერთისთვის, ვინც ახლა მიტინგებზე ლიდერებად დგანან, სასურველი თანამდებობა მიეცათ, როგორ ფიქრობთ, იქ დადგებოდნენ? ნამდვილად არა! ამიტომ ლიდერების პიროვნულ განაწყენებას მიემატა საერთო საზოგადოებრივი განაწყენება და ამას იყენებენ ისინი ხელისუფლებაში მოსასვლელად.

20 წელიწადია, რაც დამოუკიდებელი საქართველო არსებობს (მე-15 საუკუნიდან დაყოფილ-დაქუცმაცებული იყოძ და თქვენ გინდათ დემოკრატია, სოციალური სისტემა, დამოუკიდებელი სასამართლო და სხვა ასე უცებ აეწყოს?! ობიექტური მიზეზების გამოც ეს შეუძლებელია. მოსემ 40 წელიწადი ატარა ებრაელი ხალხი უდაბნოში, სანამ აღქმულ მიწაზე მიიყვანდა. ყველა მონობაში დაბადებული უდაბნოში მოკვდა... ასე რომ, კიდევ 20 წელიწადი მაინც გვჭირდება...

**— ანუ ახლა უდაბნოში დავხეტიალობთ?**

— დავხეტიალობთ და კიდევ დიდხანს ვიხეტიალებთ. ეს არის კანონზომიერება.

ამიტომ ვეკითხები ოპოზიციას — იმას, რასაც ახლა ითხოვს ხელისუფლებისგან, თვითონ რომ მოვა ხელისუფლებაში, ორ წელიწადში განახორციელებს? ოპოზიციის ბევრი მოთხოვნა მართლაც სამართლიანია, მაგრამ მათ შორის ბევრი არარეალურია.

თუნდაც იმთავითვე მოთხოვნა რომ დააყენეს „მიშა, გადადექი!“ ეს იყო შეცდომა. უკან დასახევი არ დაიტოვეს. ახლა ფიქრობენ, რა უნდა ქნან? ჩემი აზრით, დაჯდებიან და დაიწყება ხელისუფლებასთან მოლაპარაკება. ეს თუ მოხდება, პრეზიდენტმაც ბევრი რამე უნდა დათმოს, მათ შორის თავისი მეგობრები და გარემოცვა. ქვეყნის მართვა ახალი ადამიანებით უნდა დაიწყოს.

თუ მიხეილ სააკაშვილი იმავე მმართველობით წავა, როგორც დღემდე მოდიოდა, ის 2013 წლამდე მაინც ვერ მიატანს. ეს გამორიცხულია.

**— თუკი მიხეილ სააკაშვილი ახლა დარჩა, ის 2013 წლამდეც დარჩება.**

— არა, ხალხი შეიძლება ერთხანს მიჩუმდეს, სახელმწიფომ მიიძინოს კიდეც, მაგრამ ახლანდელი მუხტი მერე მაინც ამოძრავდება. ხანდახან სიჩუმე დიდი ქარიშხლის მომასწავებელია...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

## ვარაუდი

***მსოფლიოში არსებულმა საფინანსო კრიზისმა გარკვეული პერიოდის წინ საქართველოშიც შემოაღწია. დამოუკიდებელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კრიზისი პიკს შემოდგომაზე მიაღწევს და ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ხელისუფლების წარმომადგენლები კი დამაიმედებელ პროგნოზს აკეთებენ და მიიჩნევენ, რომ ფინანსური კრიზისის პიკს შემოდგომისთვის არ უნდა ველოდოთ, რადგან ამ პერიოდისთვის ვითარება სასიკეთოდ იქნება შეცვლილი. რამდენად საფუძვლიანია, ერთი მხრივ, ექსპერტების შიში და, მეორე მხრივ, ხელისუფლების ოპტიმიზმი? ამ და სხვა კითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს, ეკონომიკის დოქტორს დავით ნარმანიას ესაუბრა.***

# ხელისუფლება ხელფასებსა და პენსიებს უკვე საერთაშორისო დახმარებებითა და ალებული კრედიტებით გასცემს

**— ბატონო დავით, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ფინანსური კრიზისი პიკს შემოდგომაზე მიაღწევს, რასაც მთავრობა არ ეთანხმება. ხელისუფლების პოზიცია ორი დღის წინათ გადაცემა „პოზიციაში“ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გამოხატა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბევრი პროექტი „ამოიქოქა“ და მათი განხორციელება სწორედ შემოდგომიდან დაიწყება..**

— პრემიერ-მინისტრს ვურჩევ, ექსპერტებს შეხვდეს და მათი აზრი მოისმინოს. ის, რომ ფინანსური კრიზისის პიკი შემოდგომაზე დადგება, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებაა. კერძოდ, მათი შეფასებით, ჯერ მსოფლიო საფინანსო კრიზისის მხოლოდ პირველმა ტალღამ ჩაიარა და წინ არის მეორე ტალღა, რომელიც წლის მეორე ნახევარში უფრო მეტად აზიურ ქვეყნებზე იქნება ორიენტირებული. პირველი ტალღა კი აშშ-დან ევროპისაკენ იყო მიმართული. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად აზიასთან არის დაკავშირებული — კაპიტალის, ინვესტიციების და ა.შ. თვალსაზრისით. ამიტომ როგორც კი კრიზისის მეორე ტალღა აგორდება, ის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედებს. მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაში მძიმე მდგომარეობა არის შექმნილი. ინვესტიციების მოცულობა მინიმუმამდე არის დასული, საბიუჯეტო შემოსავლები შემცირებულია, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ შემოსავლებით დაეფინანსებინა მიმდინარე ვალდებულებები და უკვე დაიწყო საერთაშორისო დახმარებებითა და ალებული კრიდიტებით ხელფასების, პენსიებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების გასტუმრება. ამ და სხვა პრობლემების ფონზე იმის თქმა, რომ ქვეყანაში კრიზისი არ იქნება და ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება, რეალობას არის მოკლებული. მით უმეტეს, თუ ამას მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც დავამატებთ.

**— ამ პირობებში ლარის კურსის შენარჩუნება რამდენად მოხერხდება?**

— ჯერჯერობით ამ მხრივ საფრთხე არ არის მოსალოდნელი, რადგან საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა მეტ-ნაკლებად ნორმალურია — იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ქვეყანას საერთაშორისო რეზერვები 20 პროცენტით შეუმცირა. ლარის კურსი უახლოეს თვეების განმავლობაში შენარჩუნებული იქნება. რამდენიმე თვის პროგნოზის გაკეთება რთული იქნება, რადგან საერთაშორისო არენაზეც და საქართველოშიც პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება.

**— ექსპერტები იმასაც შიშობენ, რომ წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტში სერიოზული გარღვევა არის მოსალოდნელი...**

— ამის ტენდენცია უკვე შეინიშნება. იმის მიუხედავად, რომ აპრილის ბიუჯეტი დიდი მოცულობით არ გარღვეულა, საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების ტენდენცია ძალიან დაბალი და შეფერხებულია. ეკონომიკური აქტივობის კლების ფონზე ეს ტენდენცია გაგრძელდება და ბიუჯეტის გადახედვის საჭიროებაც ძალიან მალე დადგება ქვეყანაში.

**— რამდენლარიანი გარღვევა იქნება მოსალოდნელი?**

— ჯერჯერობით ზუსტი მონაცემის დასახელება რთულია, მაგრამ ეს სულ ცოტა, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი იქნება.

**— მთავრობა გვაიმედებს, რომ დონორების დახმარება ორმაგდება და ბიუჯეტის გაზრდა და მოსახლეობის მოთხოვნილებებზე მორგება შესაძლებელი გახდება. ეს რამდენად რეალურია?**

— ხელისუფლება ამ თვალსაზრისით, მოსახლეობას ატყუებს. ეს არ არის დახმარება, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებისგან გამოყოფილი თანხის — 4,5 მილიარდი დოლარის დიდი ნაწილი — 2,5 მილიარდი დოლარი კრედიტია, რომელიც არც ისე დაბალპროცენტიანია. ამ თანხას ხელისუფლება ერთიანი ვალდებულებების დასაფინანსებლად იღებს და მისი გასტუმრება რამდენიმე წლის შემდეგ მოუწევს. ეს არის საგარეო ვალი და კრიზისიდან გამოსვლის პოპულარულ საშუალებად ვერ იქცევა. ფინანსური კრიზისის ფონზე საგარეო ვალის ზრდა და კრედიტების აღება გამართლებული არ არის. ხელისუფლებას შეეძლო, უფრო გონივრული პოლიტიკით ემოქმედა და საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ვალის აღება არ დასჭირვებოდა.

**— და ბოლოს, შექმნილ ვითარებაში, ალბათ, უმუშევრობის მაჩვენებელიც საგრძნობლად გაიზარდა...**

— ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, აგვისტოს ომის შემდეგ, სამსახურებიდან — მხოლოდ საბანკო და სამშენებლო სექტორიდან 20 000-ზე მეტი ადამიანი დაითხოვეს. თუმცა, ამის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. ეს მაჩვენებელი წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან სამსახურებიდან დათხოვნის ტენდენცია გრძელდება. ამას ხელი შეუწყო ლიბერალურმა შრომის კოდექსმა, რომელიც დამქირავებელს საშუალებას აძლევს, თანამშრომელი ისე დაითხოვოს ან უხელფასო შვებულებაში გაუშვას, რომ წინასწარ არც გააფრთხილოს იგი.

**მედიანიუსი**



ქადაგება

# ილია II: ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აზრია ერთადერთი და ჭეშმარიტი



**26 მაისს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მშვიდობის პარაკლისის დაწყებამდე სამების ტაძარში ერს ქადაგებით მიმართა.**

უწმინდესმა ქართველ ერს პირველ რიგში დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და განაცხადა, რომ საზოგადოება ცხოვრობს მეტად რთულ პერიოდში, როცა არსებობს დაპირისპირებული, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები.

**„ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აზრია ერთადერთი და ჭეშმარიტი და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ადამიანმა უნდა მოუსმინოს სხვას და არა ერთს და უნდა გამოიტანოს უკეთესი აზრი მოსმენის საფუძველზე“,** — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, ყოველი მოვლენა ღვთის განგებით ხდება და წყდება ზეცაში. როგორც უწმინდესმა ბრძანა, ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა ერთმანეთის ძმა და დაა და ქართველ ხალხში ერთსულოვნება უნდა არსებობდეს.

**„განსხვავებულმა აზრებმა უნდა იარსებოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა აზრი უნდა განხორციელდეს. ჩვენ გვახასიათებს ამპარტავნება, ეს კი უმძიმესი ცოდვაა. სწორედ ამ ცოდვამ დაღუპა ანგელოზი, რომელიც დაეცა და გახდა ეშმაკი და ამ ცოდვის გამო განიდევნა ადამი და ევა სამოთხიდან“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ჯარს და ბრძანა, რომ მას სურს დალოცოს დღეს ჯარი, რადგან დიდი და მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ჩვენს ჯარს და მათ ეს ყველაფერი ვაჟკაცურად აიტანეს.

უწმინდესმა ასევე ისაუბრა საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნაზე — **„გადადგეს პრეზიდენტი“. „ჩვენი მოსახლეობის ნაწილი ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. ეს ძალიან რთული საკითხია. საერთოდაც, მინდა ვთქვა, თითქოს ეს წესად გვექცა. ჩვენ გადავაყენეთ პირველი პრეზიდენტი, გადავაყენეთ მეორე პრეზიდენტი და თქვენ იცით ამ გადაყენებამ რაც მოგვიტანა. მე ამას ვამბობ, როგორც ჩემს აზრს, რომ იქნებ უკეთესი იყოს ერთმანეთს მოვუსმინოთ“,** — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, როდესაც იგი მოსმენის კულტურაზე საუბრობს, ეს ეხება ყველას, ერსაც, ბერსაც, პრეზიდენტსაც და პატრიარქსაც. ჩვენში არ უნდა იყოს პარტიული კუთვნილების მიხედვით ადამიანთა დაყოფა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ერი ვართ და გვჭირდება ერთსულოვნება.

**„ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ვიყოთ ღვთის მორჩილნი და ღვთის მადლი ყველაფერს თავის ადგილზე დაალაგებს. დავით წინასწარმეტყველი ბრძანებდა — „მოიხსენე უფალო დავით და ყოველი სიმშვიდე მისი“. ეს სიმშვიდე გვაკლია ჩვენ და ღმერთმა მოგვცეს სიმშვიდე, მოთმინება და თავმდაბლობა“,** — ბრძანა პატრიარქმა.

**ინტერპრესნიუსი**

პოზიცია

# თუნდაც უსისხლო გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსვლა ქვეყნისთვის ძალიან საზიანოა

***გვესაუბრება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე.***

**— ქალბატონო თამარ, ხელისუფლება დღეს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პარალელს ავლებს 90-ან წლებთან. ხედავთ თუ არა რაიმე საერთოს დღევანდელ ვითარებასა და გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულ მოვლენებთან?**

— დღეს ბევრი პოსტსაბჭოთა ნიშანი შეინიშნება, რის საფუძველზეც შეგვიძლია ასეთი პარალელის გავლება. თუმცა კარგია, რომ ჯარი არ არის გამოყენებული. მართალია იყო რაღაცა მცდელობა, მუხროვანის ამბოხს თუ ჩავთვლით, თუმცა დღეს ეს მომენტიც გამორიცხულია.

**— საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავის დროზე არ დაეთანხმა ოპოზიციის მოთხოვნებს გადადგომის შესახებ, რამაც ქვეყანაში ცნობილი მოვლენები და სამოქალაქო ომი გამოიწვია. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც აგრეთვე კატეგორიულ უარს ამბობს ხელისუფლებიდან წასვლაზე?**

— 90-იან წლებში, მართალია, მე ოპოზიციას წარმოვადგენდი, თუმცა როგორც ადრე, დღესაც წინააღმდეგი ვარ ხელისუფლების ძალით შეცვლისა.. ქუჩის აქციებით, თუნდაც უსისხლო გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსვლა, ძალიან საზიანოა ზოგადად ქვეყნისთვის. ვისაც მართლა კარგი უნდა საქართველოსთვის, მხოლოდ დემოკრატიული საშუალებებით და არჩევნებით უნდა იბრძოდეს.

**— ერთ მხარეს დგას ხელისუფლება, მეორე მხარეს კი — ხალხის გარკვეული ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ სააკაშვილს ყველაფერს აპატიებდა, გარდა აგვისტოს მოვლენებისა. თქვენი აზრით, რამდენად ლეგიტიმურია ხალხის მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით?**

— ხელისუფლებას, რომელიც ომს აგებს და ამის შედეგად ტერიტორიებს კარგავს, ნორმალურ საზოგადოებაში ეს არ უნდა შერჩეს. თუმცა დღევანდელი საპროტესტო გამოსვლები არა მგონია, აგვისტოს მოვლენების გამოძახილი იყოს. ჯერ ერთი, დრო გვაშორებს და მეორეც, არასწორადაა დასმული პრეტენზიები. ერთია, რომ პრეზიდენტმა დათმო ტერიტორიები, მაგრამ ეს საკითხი ანტირუსული პოზიციიდან უნდა იყოს დაყენებული და არა კონფლიქტის დაწყებაში ბრალდების მხრიდან. ომის დაწყება მხოლოდ რუსეთს შეეძლო, უბრალოდ საქართველოს მთავრობის ბრალია, ამ ომისთვის ხელის შეწყობა. ამიტომ, მე არ ვფიქრობ, რომ დღევანდელი მოვლენები დაკავშირებულია აგვისტოს ომთან, წესით კი უნდა იყოს ასე, მაგრამ სურათი სხვაგვარია.

**— და მაინც როგორი?**

— საერთოდ, როცა იწყება აქციები, არა მგონია, რომ მხოლოდ ერთი, გადადგომის საკითხი უნდა დააყენო დღის წესრიგში. მას რაღაც პოზიტიური მოთხოვნაც უნდა ჰქონდეს. რადგან პრეზიდენტის გადადგომა უნდა იყოს მხოლოდ საშუალება. ხოლო კონკრეტული მოთხოვნები დემოკრატიზაციის შესახებ და სხვა, არავის წამოუყენებია. სააკაშვილს არაფერი ემჩნევა გადადგომის სურვილისა, ამიტომ ოპოზიციას უნდა ჰქონდეს პოზიტიური მოთხოვნებიც, რათა ამით დასავლეთის ყურადღება მიიპყროს.

**— როგორც ჩანს, ეს საპროტესტო მუხტი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას ანგარიში გაუწიოს. თქვენი აზრით, მუხტის ნაკლებობა ამ მოძრაობის ერთი კანდიდატის არარსებობით ხომ არ არის გამოწვეული, ან არასწორი მოთხოვნების დაყენებით?**

— ის, რომ ოპოზიცია, ანგარიშგასაწევ ძალად არ აღიქმება, რასაკვირველია, თავიდანვე არასწორი დაგეგმარებით არის გამოწვეული. სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატიული არჩევნები და სხვ. ოპოზიციას ერთობა უნდა ჰქონოდა და წარმმართველი ამ აქციებისა უნდა ყოფილიყო ეს მიზანი. ამა თუ იმ ხელისუფლების წასვლა-მოსვლა მეორეხარისხოვნად უნდა ჩავთვალოთ. მთავარი კი ამ პოზიტიური მოთხოვნების განხორციელება უნდა გახდეს. ძალიან შეშფოთებული ვიყავი, როდესაც აქციის ორგანიზატორებმა ხალხს მოლაპარაკებებზე წასვლა სატანურობასთან გაუიგივეს. არ შეიძლება გარიგება, თუმცა მოლაპარაკება აუცილებელია. ოპოზიციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქციები აღმავლობის პიკზე იყო, კონკრეტული მოთხოვნები უნდა დაეყენებინა. თუმცა, მათ კატეგორიული უარი განაცხადეს რაიმე სახის მოწოდებაზე, გარდა პრეზიდენტის გადადგომისა, რითაც დემოკრატიული საზოგადოების ყურადღება და მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. სამწუხაროა, რომ დღეს პიკეტმა უკვე ბოლშევიკური სახე მიიღო. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია გზების გადაკეტვა, ჟურნალისტებზე ზეწოლა და სხვა. ზოგჯერ ეს აქციები უფრო მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული, ვიდრე ხელისუფლების.

**— პირადად თქვენ თუ მონაწილეობთ საპროტესტო აქციებში და თუ უერთდებით მათ მოთხოვნებს?**

— ზოგადად ეს ხელისუფლება მოსვლისთანავე და მანამდეც, მიუღებლად იყო და არის ჩემთვის. პირველ დღეებში რამდენჯერმე მივედი აქციაზე, მაგრამ ის ფორმა, რომელიც მან დღეს მიიღო, ჩემი აზრით, მხოლოდ ხელისუფლების სასიკეთოა და მხოლოდ სააკაშვილს, რუსეთს აძლევს ხელს. ამ სახით აქციების გამართვა ჩემთვის მიუღებელია.

**— ხელისუფლება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს დემოკრატიის არსებობად აფასებს, ოპოზიცია კი პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობს. თქვენი აზრით, ქვეყანაში მართლაც არსებობს პოლიტიკური დისბალანსი?**

— ქვეყანაში კრიზისი ფაქტია. მაგრამ, ამ შემთხვევაში არაადეკვატურად იქცევა არა მარტო ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც.

**— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, რა უნდა მოიმოქმედონ ხელისუფლებამ და რა ოპოზიციამ სიტუაციის სტაბილიზაციისა და იმისთვის, რომ არ განმეორდეს წინა წლების სცენარი?**

— ხელისუფლება ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ არ გამოიყენონ ძალა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ. ასევე მან უნდა გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები, იზრუნოს დემოკრატიული რეფორმებისთვის და სხვა. რაც შეეხება ოპოზიციას, მას ადრე ქვეყანაში რაიმე რეალურის გაკეთების უფრო დიდი შანსი ჰქონდა. ამიტომ, ახლა უფრო შესუსტებული პოზიციიდან მოუწევს ბრძოლა პოზიტიური დათმობების მისაღებად. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ოპოზიციამ დაიწყოს რაიმე უკანონო ქმედებაზე ფიქრი. ეს დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის და არა სააკაშვილისთვის.

**— და ბოლოს, კონკრეტულად იმ მდგომარეობაში, რაც დღესაა შექმნილი, გამორიცხავთ თუ არა რაიმე სახის სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებას?**

— გამორიცხული არაფერია. სამოქალაქო დაპირისპირება და ზოგადად ასე გაგრძელება, ძალიან აძლევს ხელს რუსეთს. მას უამრავი ბერკეტი აქვს ამისთვის. ერთი მხარე მაინც რომ იყოს საიმედო, ან ხელისუფლება, ან ოპოზიცია, მაშინ რუსეთს ნაკლები საშუალება ექნებოდა ქვეყანაში არეულობის გამოსაწვევად.

ესაუბრა
**გიორგი რაზმაძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

თანადგომა

# დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს

**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა და ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი აღნიშნეს.**

საღამო დაიწყო საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნებით, რომელიც დაწყებითი სკოლა „სხივის“ მომღერალთა გუნდმა შეასრულა.

ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელმა **ექრემ შაჰანმა** ყველას მიულოცა 26 მაისი და აღნიშნა, რომ ამ დღეს შეიკრიბნენ ბათუმელი, ქუთაისელი, ფოთელი, რუსთაველი ბავშვები და ერთად ზეიმობდნენ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **აჰმედ ჩეთინმა** განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოკიდებლობა მიიღო, თურქეთთან ეკონომიკური კავშირები განამტკიცა და ამ განვითარებაში ჩვენი უნივერსიტეტის დიდი წვლილიცააო.

პროფესორმა **თამაზ ბერიძემ** მოსწავლეებს გააცნო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს განვლილი გზის ისტორიული ნიუანსები.

ბავშვები აღფრთოვანდნენ ცნობილი მომღერლების — მამუკა ონაშვილისა და ვლად არამოვის სიმღერებით.

სცენაზე, ლექსში, სიმღერასა და ცეკვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: რუსთავის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე ბაკურ მამალაძე, ფოთის სასწავლო ცენტრის მოსწავლეები: ზეინაბ ტარივერდიევა და მირანდა ბატუშოვსკაია, ბათუმის სკოლის მოსწავლე მარიანა მოსიძე, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლე თეონა ჯიქია, ასევე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლი, თბილისის ნ. წერეთლის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლეები და სხვები.

საღამო მიჰყავდათ დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლეებს მარიანა სისვაძეს და ეკატერინე შაქარაშვილს.

**ნატა ნიბლაძე,**
**ფათიჰ დემირის ფოტო**



გლობუსი

# მოჭარბებული დემოკრატიულობა

**რამდენი ათასი ადამიანი უნდა გამოვიდეს თბილისის ქუჩებში, რომ პრეზიდენტმა ყურად იღოს? კითხვა ძნელი ამოსახსნელია. რატომღაც იმ ოპოზიციას, რომელსაც რადიკალურს უძახიან, მიაჩნია, რომ 100000-იანი სახალხო არმია საკმარისი იქნება „არაადეკვატურის“ „ადეკვატურად“ გადაქცევისათვის. თუმცა ამაოდ. საპროტესტო მიტინგებისადმი თანამედროვე საქართველოში სულ სხვა სტანდარტებია, არა ისეთი, როგორიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს. მაშინ რევოლუციის ორგანიზატორებისთვის 50.000 კაცის გამოყვანა აუხდენელი ოცნება იყო. დღეს, 150.000-იც არ კმარა. ხელისუფლება ცინიკურად მართავს სიტუაციას — 150.000 მოსახლეობის მცირე ნაწილიაო. ორჯერ მეტი ადამიანის გამოსვლაც, თუ ის არ იქნება მიზანმიმართული, ვერ „გააადეკვატურებს“ ხელისუფლებას, ვინაიდან მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი 2013 წლამდე ქვეყნის სათავეში ყოფნა. მიზნის მისაღწევად მრავალი ტაქტიკური და ეშმაკური ხერხი გამოიყენება — დიალოგით დაწყებული, ახალი კონსტიტუციის შექმნით დამთავრებული.**

ახალ კონსტიტუციაზე დაბეჯითებით ლაპარაკობს ნაციონალების რუპორი ქრისტიან-დემოკრატები. ორივეს მიზანია საზოგადოების ყურადღების საკონსტიტუციო საკითხებზე გადატანა, დროის გაწელვა, გარდა ამისა, საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტოთი შეცვლა და ნაციონალთა, აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატთა, ხელისუფლებაში სამარადისო ყოფნა. კონსტიტუციაზე მუშაობა დიდ დროს მოითხოვს. ასე იყო მოქმედი კონსტიტუციის შექმნის დროსაც. ამასობაში 1013 წელიც მოვა და იმედგაცრუებულ საზოგადოებას ახალ კონსტიტუციას წარუდგენენ. არსებული კონსტიტუცია ბევრი ნაკლით ხასიათდება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ავტონომიების შესახებ. საინტერესოა, რა ჩაიწერება ახალ ძირითად კანონში აღნიშნულთან დაკავშირებით? ძველი ფორმულირება დარჩება თუ? ეს ის საკითხია, რომელიც უაღრესად კვალიფიციურ, პასუხისმგებლურ გადაწყვეტილებას მოითხოვს. ვეჭვობ, ა. დემეტრაშვილის გუნდმა თავი გაართვას ამ საქმეს.

**ხომ არ აჯობებდა ნაცვლად ახალი კონსტიტუციის წერისა, ძველში შესწორებების შეტანა? მით უმეტეს, როდესაც ე. წ. რადიკალური ოპოზიცია უარს აცხადებს მასში მონაწილეობაზე? საზოგადოებას ნაკლებად ხიბლავს ახალი კონსტიტუციის შექმნის იდეა, ვინაიდან კარგად იცის, რომ ქაღალდზე გადატანილი აზრი, რაც არ უნდა გენიალური იყოს, ქართული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნაკლებად ეფექტიანია, და ვერ მოქმედებს ხელისუფლების სათავეში მყოფებზე.**




საზოგადოების აზრით რადიკალურად მონათლულ ოპოზიციას სწორედ რადიკალიზმი აკლია, ურომლისოდაც ხალხის დარაზმვა პრობლემატურია. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ეჯიბრება საკუთარი თავისთვის დემოკრატიულის შერქმევისათვის. ამას წინათ ერთ-ერთი მორიგი უცხოური ვოიაჟის დროს პრეზიდენტმა დაიკვეხა კიდეც — საქართველოში ნამდვილი დემოკრატიაა — მიტინგებსა და დემონსტრაციებს ხელისუფლება არ არბევსო.

პრეზიდენტი მართალია, როდესაც გადაკეტილია ქუჩები, პრეზიდენტის რეზიდენციასთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, პარლამენტთან, სხვაგან, განთავსებულია საკნები, როდესაც ათეულ-ათასობით ადამიანი ყოველდღიურად იკრიბება პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტულ მიტინგზე, როდესაც იკეტება სანაპირო და ყოველივე ამას ხელისუფლება გულგრილად უყურებს, „დემოკრატიის ხარისხი ამაღლებულია“. გასული წლის დარბევის შემდეგ „გავიზარდეთ“, რასაც, თავის მხრივ, კმაყოფილებით აღიქვამენ თბილისში არსებული და ხელისუფლებისადმი ერთობ დადებითად განწყობილი დიპკორპუსი, საერთაშორისო ორგანიზაციები. „დემოკრატიის“ ამ ფასადური ნაწილის მიღმა მომიტინგეთა შერჩევითი ცემის, დაკავების, ცეცხლსასროლი იარაღის ჩადების და სხვა ფაქტებსაც აქვს ადგილი, თუმცა მათ მიმართ უცხოელთა რეაგირება მინიმალურია, რაც ორმაგი სტანდარტების გამოვლინების მაგალითია.

ბოლო თვეების განმავლობაში მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო წარმოშობით ირანელის, ამერიკელი ჟურნალისტის ირანში ჯაშუშობისათვის დაპატიმრება. სხვადასხვა ქვეყნის საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჟურნალისტის დასახსნელად საჭირო განცხადებების გაკეთებაში. არც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს დაუხანებია, მანაც გააკეთა განცხადება აშშ-ს მოქალაქის განთავისუფლებისათვის, რაც არა მარტო ჟურნალისტის უსაფრთხოებით იყო გამოწვეული, არამედ ირანის ხელისუფლების კიდევ ერთხელ გაშავების მცდელობით. **სამწუხაროდ, მსგავსი აქტიურობა არ შეინიშნება წარმოშობით ქართველის, რუსეთის მოქალაქის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მიმართ. მხოლოდ რუსულმა „ნეზავისიმაია გაზეტამ“ შეიწუხა თავი და ორი ინფორმაცია გამოაქვეყნა აკადემიკოსის „სათავგადასავლო ისტორიიდან“. რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორისადმი გაგზავნილ წერილში აკადემიკოსი აღწერს მისი დაპატიმრების სავალალო ფაქტებს — ავტომატებისა და ხელყუმბარების ჩადებით. „მე, როგორც პროკურორად და ადვოკატად მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესიონალი იურისტი, დავრწმუნდი, რომ დღევანდელ საქართველოში არ არსებობს თანამედროვე გაგებით სახელმწიფო“,** წერს ვახანია. საერთაშორისო საზოგადოების და ინსტიტუტების ორმაგი სტანდარტი ქართული საზოგადოების განსჯის საგანი უნდა იყოს. მსგავსი საკითხები ქუჩის ოპოზიციასაც უნდა აინტერესებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოიპოვებს საზოგადოების მხრიდან ფართო მხარდაჭერას. ოპოზიციისათვის, ისე, როგორც ხელისუფლებისათვის, დამახასიათებელია დიდი სიმპათიები დასავლელთა მიმართ, სწორედ იმათ მიმართ, ვინც ძალას არ იშურებს სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერისათვის. ასეთს, გასულ კვირასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც აშშ-ს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ერთ-ერთმა ინსტიტუტმა გვახარა, რომ მიტინგების დაწყების შემდეგ სააკაშვილის რეიტინგი გაიზარდა. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ასე იყოს. ამ ლოგიკით სახელმწიფოს მართვაში ხელმოცარული ხელისუფალი მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე წარმატებული. ამ ლოგიკით აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბუშის პოპულარობა 20 პროცენტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ 80.

ხელისუფლების მხარდამჭერაზე მეტყველებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებები. არც სენატორი მაკქეინი აკლებს. გასულ კვირას მან ჩვეული გულმოდგინებით გააკრიტიკა რუსეთი გასული წლის აგრესიისათვის. სენატორს არც ჩვენთვის ნაცნობი ბრაიზა ჩამორჩა. იმანაც თითქმის იგივე გაიმეორა რუსული აგრესიის თაობაზე, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ სააკაშვილმა დაუშვა შეცდომა. აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში გასული წლის ცხინვალის ომთან დაკავშირებით შემდეგი ვერსიაა შემუშავებული — სააკაშვილი შეცდა და რუსეთის ანკესზე წამოეგო, მაგრამ ომი გაცილებით ადრე დაიწყო — რუსეთის მხრიდან პერმანენტული პროვოკაციული აქტებით. ამ ვერსიას დაბეჯითებით იმეორებს არა მარტო ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც, ალასანიას სახით. დასავლეთი სხვა მხრიდანაც უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას. ამის დასტურია ნატოს წვრთნების ჩატარება საქართველოში. ამ წვრთნებთან დაკავშირებით ერთი რუსი დიპლომატი ასე აცხადებდა: „წვრთნები შეუფერებელ და უკიდურესად მიუღებელ დროს ტარდება. პოლიტიკურად ის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღიქმება, როგორც სააკაშვილის დამნაშავეობრივი რეჟიმისათვის მხარის დაჭერად. წვრთნები სამხრეთ კავკასიას არ შემატებს სტაბილურობას. არც რაიმე ეფექტს მოუტანს ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.

**ქვეყნის ეროვნული დღესასწაულს ხელისუფლება და ოპოზიცია განსხვავებული წარმატებებით შეხვდა — ხელისუფლება „დემოკრატიის“ დავაჟკაცებით, ხოლო ოპოზიცია დემოკრატიის და კონსტიტუციის გაწუხრელი დაცვით. „დემოკრატია“ ორივესთვის საფიცარი სიტყვაა, მაგრამ დამშეული, ნამუსშელახული საზოგადოება სხვას მოითხოვს. ის ალმაცერად უყურებს ორივეს და ცოტა აკლია სერიოზული დასკვნების გაკეთებისათვის.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

**ს.ს.ი.პ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად**

1. ს.ს.ი.პ „ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქ.№ 1-ში მდებარე № 1 შენობის სარდაფ სართულზე არსებული 465,85 კვ.მ ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საწყისი საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 19566 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში. იჯარის ვადა 5 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 1630 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

- **იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კვების ობიექტის მოწყობა;**
- **იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;**
- **ინფორმაციის წარმოდგენა “მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;**

**მოიჯარე ვალდებულია:** ა) დაიცვას სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები; ბ) საქმიანობის განხორციელების დროს ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას; გ) არ გამოიწვიოს დასაშვებ ნორმაზე მეტი ხმაური.

**შენიშვნა:** დამატებითი პირობები განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით. დაინტერესებულ პირს შეუძლია ხელშეკრულებას გაეცნოს წინამდებარე განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლით);

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და წესდების ასლს.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის გამარჯვებული.

კონკურსში გამარჯვებული წლიურ საიჯარო ქირას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად (თანაბარწილად).

**საჯარიმო სანქციები:**

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ: ა) საიჯარო ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში - 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბ) სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის - კონკურსის შედეგებით დადგენილი წლიური საიჯარო ქირის ოდენობით.

**„ბე“-ს გადახდა ხდება:** „სახალხო ბანკი“, სკ 211334322, ა/ანგარიში № 34086217176, ბანკის კოდი 2201010480.

კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 26 ივნისს 15 საათზე. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 28 მაისიდან 26 ივნისის ჩათვლით 10 საათიდან 14:30 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრება კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

**დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ.თბილისი, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქ.№ 1, ს.ს.ი.პ „ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის“ შენობა, პირველი სართული, ოთახი № 101 (ტელ: 37 72 40).**

ღვაწლი

# ადამიანისთვის მებრძოლი რაინდი

**1996 წელი ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის ხანად მოიაზრება. ამ დროს საპარლამენტო და კანონშემოქმედებითი მუშაობა აქტიურ ფაზაში შევიდა. დამთავრდა კომიტეტების დაკომპლექტება, სპიკერის არჩევა და ვიცე-სპიკერთა პოსტების განაწილება. დაიწყო ინტენსიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რასაც, ბუნებრივია, ძირითადად, კომიტეტები წარმართავდნენ. შესაბამისად, თავმჯდომარეების არჩევა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, პარლამენტის წევრ **რომან მიმინოშვილს,** თავდაპირველად, ვიცე სპიკერის პოსტი შესთავაზეს, თუმცა, მავანთა გულმოდგინების შედეგად, იგი აღნიშნულ თანამდებობაზე არ წარადგინეს. სამაგიეროდ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეობა მასზე, რომ იტყვიან, ზედგამოჭრილი იყო. ბატონ რომანს ის დარგები უნდა აეღორძინებინა, სადაც მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და მდიდარი გამოცდილება ქვეყანას ჟანგბადივით სჭირდებოდა. ამ ფაქტს სიხარულით შეხვდა ყველა, ვისაც კი ბატონ რომანთან ერთხელ მაინც საქმიანი ურთიერთობა ჰქონია და ზედმიწევნით აცნობიერებდა, რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის თითოეული სეგმენტის სწორად გააზრება, სისტემის რეფორმირება.

პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის შექმნისა და მუშაობის დაწყების პირველივე დღეებიდან იგრძნობოდა. დადგინდა იმ კანონპროექტების ნუსხა, რომლებიც, სავარაუდოდ, კომიტეტს უნდა წარედგინა პარლამენტში განსახილველად. ამასთან, ჩამოყალიბდა საქმიანობის სტილი და ფორმა, რაც კანონშემოქმედებით პროცესს თითოეული მონაწილისთვის ორგანულს გახდიდა. ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან იწყებოდა და დეპუტატები და მთელი აპარატი მშვენივრად აცნობიერებდნენ, რომ ცნობილი სპეციალისტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მყიფე დემოკრატიის მქონე ქვეყანას დიდ სიკეთეს მოუტანდა.

რომან მიმინოშვილის ხედვა და პრობლემების დაძლევის გამოცდილება სამეცნიერო მოღვაწეობის პრაქტიკას ეყრდნობოდა, რაც საწყის ეტაპზე კვლევის აუცილებლობას, მონიტორინგის განხორციელებას გულისხმობდა. წარმატების მთავარი გარანტი კი თანამოაზრეთა ჯგუფის ჩამოყალიბება და დარგების სპეციალისტთა შერჩევა იყო. თითოეულ თანამშრომელს კონკრეტული ფუნქცია ეკისრებოდა, რაც ყოველგვარი სირთულისა და დაბრკოლების დაძლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ასეთ განწყობას თავად თავმჯდომარე ქმნიდა. თითოეული თანამშრომლის აზრს იგი გულისყურით ეკიდებოდა, ითვალისწინებდა და, საჭიროების შემთხვევაში, საჯაროდ განიხილავდა. დიალოგით, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან სერიოზული სჯა-ბაასით და არა კინკლაობით, საკანონმდებლო ბაზა თანდათან ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. გადამწყვეტი სიტყვა, ძირითადად, კომიტეტს ეკუთვნოდა, რადგან პარლამენტი სათანადო სიმაღლეზე იდგა და კანონის აღსრულების როგორც რეალურ მაკონტროლებელ ფუნქციას, ისე მექანიზმებს წარმატებით იყენებდა.

უცხოელ ექსპერტებთან მუშაობის პროცესში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო საქმიანობაში და საკმაო გამოცდილებას ფლობდნენ, ბატონ რომანს აუცილებლად მიაჩნდა გარედან მოყვანილი ქართველი სპეციალისტების ჩართვა, რაც მუშაობას მეტ სიმძაფრესა და ხიბლს შემატებდა. ამ ფონზე ახალგაზრდა თანამშრომლებიც ბევრს სწავლობდნენ, უკეთეს პროფესიონალებად ყალიბდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მეცნიერები ხშირად თავად გამოდიოდნენ ექსპერტების როლში და უცხოელ კოლეგებს საკუთარი შეხედულების ჭეშმარიტებაში იოლად არწმუნებდნენ. ამიტომ სტუმრებიც, თავის მხრივ, ბევრ ახალს იგებდნენ და მრავალ საკითხზე სხვაგვარი ხედვა უყალიბდებოდათ, რასაც თავადაც როდი მალავდნენ, ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ამგვარი ვითარება განმანათლებლებად მოვლენილ ექსპერტებს უძველესი ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებაზე, მდიდარ ინტელექტუალურ რესურსებსა და სახელმწიფოებრივი მოწყობის გაცნობიერებული მოდელის არსებობაზე მიანიშნებდა. ყოველივეს მაიმპულსირებელი ძალა კი თავად ბატონი რომანი გახლდათ, მისი სწორი, გააზრებული პოზიცია, რომელიც ყოველგვარ პარტიულ დაპირისპირებასა და წინააღმდეგობაზე მაღლა იდგა, სახელმწიფოებრიობის განცდით საზრდოობდა და ამიტომაც უპირატესობა მისთვის მუდამ ადამიანისთვის ბრძოლას ენიჭებოდა.



რომან მიმინოშვილს განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე საკუთარი შეხედულება ჰქონდა. დიდი მეცნიერის, სიმონ ყაუხჩიშვილის მოწაფესა და ანტიკური ეპოქის სპეციალისტს არსებული სამეცნიერო სკოლების შენარჩუნება და ტრადიციის გაღრმავება უპირველეს ამოცანად მიაჩნდა, რაც სრულებით არ ნიშნავდა, რომ იგი ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ვერ აცნობიერებდა. პირიქით, ბატონი რომანი დარწმუნებული იყო, რომ სწორი მართვის პირობებში, ადვილი შესაძლებელი იყო ქართული მეცნიერების მომგებიან სფეროდ გარდაქმნა.

თავმჯდომარეობის მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვაში ბატონ რომანს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, იუმორი ეხმარებოდა. სერიოზული პრობლემების გადაჭრისას, როდესაც კომიტეტის კომპეტენცია საკმარისი არ იყო, იგი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს სთხოვდა და საკითხების განსახილველად ცნობილ მეცნიერებს იწვევდა. ერთ ასეთ სხდომაზე იმ დროს თბილისში მყოფი ამერიკის მოქალაქის, ქართველი მეცნიერის ვახტანგ ჯობაძის მოწვევა გადაწყდა, რადგან ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესია-მონასტრების გადარჩენის ფორმების ძიება ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით დადგა. აღნიშნული გარემოება, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ ბაზალეთში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს უკავშირდებოდა. ბატონი რომანი შექმნილ ვითარებას ძალზე განიცდიდა და ჩვეულებისამებრ, პრობლემის რელიეფურად, სხვადასხვა კუთხით შესწავლას ისახავდა მიზნად.

უკვე ხანდაზმულ მეცნიერს ვახტანგ ჯობაძეს შეხვედრის დრო წინასწარ შევუთანხმეთ და დავპირდით, რომ მანქანით მივაკითხავდით და ზედმეტად არ შევაწუხებდით. ბატონი ვახტანგი შეხვედრაზე მხოლოდ მას შემდეგ დაგვთანხმდა, როდესაც კომიტეტში მოწვეული აკადემიის წევრები ჩამოვუთვალეთ. სხვაგვარად მისთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა პარლამენტში მისვლის საჭიროება, რადგან ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობასა და პოლიტიკოსებთან ურთიერთობას ერიდებოდა.

დანიშნულ დროს კომიტეტში სტუმრებმა იწყეს შეკრება. შეპირებისამებრ, მე და ჩემი კოლეგა წასასვლელად მოვემზადეთ, მაგრამ, მოულოდნელად პარლამენტში, ჩვენთვის სრულიად გაუთვალისწინებელი, აპარატისთვის გადაუდებელი საქმე გამოჩნდა, რის გამოც მეცნიერთან ხუთი წუთით დაგვაგვიანდა. მისვლისას გაირკვა, რომ განრისხებული ბატონი ვახტანგი, მეუღლესთან ერთად, უკვე სულ სხვა მიმართულებით წასვლას ფიქრობდა. ჩვენი და ბატონი ვახტანგის მეუღლის მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, გაჯიუტდა, გაჭირვეულდა და პარლამენტში სტუმრობაზე სასტიკი უარი განაცხადა. ერთბაშად წარმოვიდგინე ამერიკელი კოლეგის მომლოდინე სავსე დარბაზი, განრისხებული სახეები, ჩემი ჩინოვნიკური კარიერის ულირსი დასასრული.

კომიტეტის დარბაზის კარი როგორც კი შევაღე და მარტო შევედი, ჩემკენ მობრუნებულ გაოგნებულ სახეებს წავაწყდი და ვიფიქრე, რომ განკითხვის დღე სხვა არაფერი იყო, თუ არა განრისხებულ ადამინთა ფანტაზია. მაგრამ ერთბაშად ბატონი რომანის რბილმა, მხიარულმა ხმამ გამომაფხიზლა, იმედის სხივი ჩამისახა. აღელვებულმა სიტყვები ვერ გავარჩიე, მაგრამ გუმანით ვხვდებოდი, რაც ხდებოდა. ჭირვეული სტუმრის მისამართით კომიტეტის თავმჯდომარემ ერთ-ორი იუმორით სავსე სიტყვა ისროლა, ყველა გააცინა და სიტუაციაც წამში განიმუხტა: – „შემდეგ საკითხზე გადავდივართ,“ მშვიდად დასძინა ბატონმა რომანმა და არა თუ მისაყვედურა, ეს ფაქტი მას საერთოდ აღარ გაუხსენებია.

რომან მიმინოშვილის მაგალითზე კომიტეტის თანამშრომლები ვხედავდით, რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის, განსაკუთრებით ანტიკური სამყაროს შესწავლას. მომავალ მმართველს, ხომ უპირველეს ყოვლისა, აზროვნების ჩვევას, აზროვნების კულტურას უყალიბებდნენ, რაც დემოკრატიის გზაზე მდგარ ქვეყანაში არა მარტო მმართველს, ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ამშვენებდეს. სპეციალობის დაუფლება ფართო განათლების გარეშე, ნიშნავს სახელმწიფოს არსებობას ჭეშმარიტი გულშემატკივრების გარეშე. მექნიკური, სულიერებას მოკლებულ ცოდნას მძიმე შედეგები მოყვება, რომლის გამოსწორებას, საუკეთესო შემთხვევაში, ათეულობით წლები დასჭირდება. ბატონი რომანი ტრადიციის ერთგული იყო და ამერიკელი მოაზროვნის, ჯეფერსონის სიტყვების მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა: „თუკი ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანი შეიძლება იყოს უცოდინარი, გაუნათლებელი და თავისუფალი, ის ოცნებობს იმაზე, რაც არასოდეს მომხდარა და შეუძლებელია, ოდესმე მოხდეს.“ თავისუფლება ის პრიმატია, რომლისთვისაც თაობები იბრძოდნენ და, ბრძოლით მოპოვებულს, ადამიანი ვერასოდეს, არანაირი სატყუარას მეშვეობით არ დაკარგავს. დამოუკიდებლობას, თავისუფალი სულის ზეობას, არც ერთი ღირსეული ერი სხვა პოსტულატებით არ ჩაანაცვლებს. სწორედ ეს უნდა ქცეულიყო ამოსავალი რეფორმების გატარების გზაზე.

მრავალ სიკეთესთან ერთად, როგორც ყოველი ჰარმონიული პიროვნება, ბატონი რომანი აბსოლუტური მუსიკალური სმენითაც იყო დაჯილდოებული. მისმა შვილიშვილმა სანდრო ყანჩაველმა ეს თვისება მემკვიდრეობით მიიღო და იმხანად უკვე სერიოზულ მუსიკოსად ყალიბდებოდა. ბაბუას, ერთი მხრივ, უდიდეს სიხარულს ანიჭებდა შვილიშვილის წარმატებები, მეორე მხრივ კი ეს იყო მუსიკალურ წრეებთან კიდევ უფრო დაახლოების, მათ პრობლემებში ღრმად ჩახედვის კარგი შესაძლებლობა. რომან მიმინოშვილი ქართული კულტურის განვითარებას მწერლობის, კლასიკური მუსიკის, მხატვრობის, ვოკალის, ბალეტის და, პარალელურად, საესტრადო ხელოვნების დახვეწასა და მაღალი რანგის პროდუქციის შექმნაში ხედავდა. ამ სფეროში ერთი რომელიმე პრიორიტეტი მისთვის არ არსებობდა. ყოველივე, რაც კულტურას შეეხებოდა, მისთვის მუდამ წინა პლანზე იდგა. დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის ხატი ბატონი რომანისათვის განვითარებულ მეცნიერებას, განათლების სისტემის სრულყოფას, კულტურასა და სპორტში წარმატებას ნიშნავდა.

ბატონი რომანი ქართველი სპორტსმენების დიდი მეგობარი და სპორტის გულშემატკივარი იყო. სხვა კანონებთან ერთად, სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“, რომელსაც ამ დარგის განვითარებაში გარდამტეხი ცვლილებები უნდა შეეტანა, კორუფცია აელაგმა და ბუნებრივი განვითარების გზას დადგომოდა.

უსამართლობასთან და კორუფციასთან ბრძოლა ბატონი რომანისთვის რადიკალურ ზომებთან როდი ასოცირდებოდა, როდესაც წითელპარტიზანული შემართება უმთავრეს იდეალებს კლავს და საღ აზროვნებას აფერხებს. მას სწამდა, რომ კორუფცია სისტემის ნაწილია და მისი მაქსიმალური შესუსტება თავად ადამიანებზე, ზოგადად სისტემურ ცვლილებებზე და არა ერთ რომელიმე სფეროზეა დამოკიდებული. კორუფცია ცვალებადი სიდიდეა. იგი მუდმივად სახეს იცვლის და მთლიანობაში თუ არ იქნა დაძლეული, ერთი საფეხურიდან მეორეზე იოლად და მარჯვედ გადაინაცვლებს.

ახლა, როდესაც ბატონი რომანის შეხედულებებსა და პარლამენტში მისი მოღვაწეობის პერიოდს ვაანალიზებთ, გამოვყოფთ უმთავრეს ღირსებას, რომელიც ბატონ რომანს ასე ამშვენებდა – ეს იყო ადამიანისათვის ბრძოლა, ადამიანური სახის გადარჩენაზე დღენიადაგ ზრუნვა. ამიტომაც ადგამდა თავს ყოველივეს ასე ღირსეულად, რასაც თავის მადლიან ხელს მოჰკიდებდა და კალმით ქაღალდზე გადაჰქონდა.

**„იყო ადამიანი, ნიშნავს, გრძნობდე საკუთარ პასუხისმგებლობას. გრცხვენოდეს სხვათა სიღატაკის ისე, თითქოს შენზე იყოს მათი კეთილდღეობა დამოკიდებული. იამაყო მეგობრების გამარჯვებებით. აცნობიერებდე, რომ საკუთარი აგურის დადებით, შენი წვლილი შეგაქვს სამყარის გარდაქმნაში.“ სენტ – ეგზიუპერის სიტყვები კარგად მიესადეგება რომან მიმინოშვილის ცხოვრების ფილოსოფიასა და მის მთელ მოღვაწეობას, რომლითაც მას სამყაროს გარდაქმნაში საკუთარი, წარუშლელი წვლილი შეჰქონდა.**

**ქეთევან ტომარაძე**

ინფორმაცია

## თურმე რუსეთი კავკასიაში პოლიტიკის გადახედვას არ აპირებს

**დუმის** დსთ-ის ქვეყნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი კლიმოვი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება.

– საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გაჩაღებული მორიგი საინფორმაციო ომი გაკვირვებას არ იწვევს. არადა, ზოგადად, ხდება ისე, რომ რასაც ქართული მხარე ლაპარაკობს, ყველაფერი ზუსტად უკუღმაა, ამიტომაც სულაც არ ვაყენებ ეჭვქვეშ სამხრეთ ოსეთის შესაძლებლობას დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს, – აცხადებს კლიმოვი და სრულიად უსაფუძვლოდ უწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს სოსკოვი კავკასიაში თავისი პოლიტიკის გადახედვას აპირებს.

– ჩვენი პოლიტიკური კურსი ამ სახელმწიფოების მიმართ არ შეიცვლება, იმიტომ რომ ორივე მხრიდან ორივე მხარისათვის ხელსაყრელი შეთანხმებებია ხელმოწერილი. ამასთან ერთად, რუსეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ ამ ორი სუვერენული ქვეყნის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს, – აცხადებს დეპუტატი და დასძენს, რომ რუსეთი კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული, რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია.

## აფხაზეთის მოსახლეობას მაღალი დონის სერვისს სთავაზობენ

**სოხუმის** მარიონეტული რეჟიმის ეკონომიკის სამინისტრომ და რუსულმა კომპანიამ „როსნეფტმა“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, შეთანხმებას ხელი ე.წ. ეკონიმიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა და „როსნეფტის“ პრეზიდენტმა სერგეი ბოგდანჩიკოვმა მოაწერეს.

ბოგდანჩიკოვის განცხადებით, შეთანხმება 5 წელზეა გათვლილი. მისი თქმით, განსაზღვრულია მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება. პირველი მიმართულება აფხაზეთის შელფში ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნას, დაზვერვას და შემდგომში დამუშავებას გულისხმობს. მეორე მიმართულების ფარგლებში კი ბენზინის, დიზელის საწვავის, ზეთების შეძენა და რეალიზაცია, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოგასამართი კომპლექსების მშენებლობა მოხდება.

– ვვარაუდობთ, რომ ეს ორი სერიოზული მიმართულება აფხაზეთის ეკონომიკაში იმ თანხების ინვესტირების საშუალებას მოგვცემს, რომელსაც ვგეგმავთ. ვაპირებთ, აფხაზეთის მოსახლეობას მაღალი დონის სერვისი შევთავაზოთ, ისევე, როგორც ამას რუსეთის ტერიტორიაზე ვაკეთებთ, – განაცხადა ბოგდანჩიკოვმა.

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙВ-ЭН

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი რუსეთის იმპერიის სიმახინჯეს ებრძვის

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს განცხადებით, აღიარებებითა და მოთხოვნებით არ გამოსულა მხოლოდ ზარმაცი. მიხეილ სააკაშვილი, როგორც ეს მას სჩვევია, თავს დაესხა ბრალდებებით რუს „ოკუპანტებს", მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა კი თავიანთი სიტყვები და მზერა დასავლეთს მიაპყრეს, რისთვისაც შეკრიბეს თანამებრძოლთა სრული სტადიონი.**

მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ვილაპარაკოთ რიგის მიხედვით. დღეს სააკაშვილმა თბილისის მუხათგვერდის სასაფლაოზე გახსნა მებრძოლთა მემორიალი, სადაც მან გულღიად ილაპარაკა აგვისტოს ომის შესახებ. პირველ რიგში მან ქართველებს უამბო, თუ რას დღესასწაულობენ ისინი დღეს: „ჩვენ აღვნიშნავთ დღეს, რომლის დღესასწაულიც არ შედიოდა მტრის გეგმაში. უნდა შეგახსენოთ, რომ შარშან 12 აგვისტოს რუსეთის ტანკები თბილისთან ახლოს იდგნენ და რუს გენერლებს ჰქონდათ ბრძანება, აეღოთ თბილისი".

პრეზიდენტმა დაასახელა აგრეთვე მოსკოვის სტრატეგიული მიზანი. თურმე, კრემლში აპირებდნენ კვლავ კონტროლზე აეყვანათ კავკასია, კასპია და შუა აზია, რათა აღედგინათ სსრ კავშირი. აქ სააკაშვილმა თავი ვერ შეიკავა ისტორიული პარალელებისგან, გაიხსენა 1921 წელი, როდესაც საბჭოთა ჯარები შევიდნენ საქართველოში. „ჩვენ კარგად ავითვისეთ ეს გაკვეთილი. ძალიან კარგად ვიცით, რომ სანამ მსოფლიო ვითარდებოდა, ჩვენ მთელი ეპოქა დავკარგეთ. ბევრი სიმახინჯე დაგვიტოვა რუსეთის იმპერიის ყოფნამ და ჩვენ ვებრძვით მას, როგორც ეს სიმახინჯე გვებრძვის ჩვენ დღესაც", — განაცხადა სააკაშვილმა.

ამას გარდა მან აღნიშნა, რომ საქართველოში როკის გვირაბიდან შემოვიდა იმდენი ჯავშანტექნიკა, რამდენიც თავის დროზე მოსკოვმა გაგზავნა ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში. მაგრამ საქართველოს არმიას არ გაუხსნია მისთვის ცეცხლი, ირწმუნებოდა სააკაშვილი, სანამ რუსეთის არმიამ არ დაიწყო „მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დაბომბვა". შემდეგ კი ქართველებმა გამოიჩინეს გმირობის სასწაულები. „ჩვენმა მებრძოლებმა გაანადგურეს რუსეთის მთავარი 58-ე არმიის ჯავშანტექნიკა, ასობით ჯარისკაცი იძულებული იყო დაეტოვებინა ბრძოლის ველი", — ირწმუნებოდა პრეზიდენტი.

შემდეგ საქართველოს ლიდერმა დაიწყო მტრის ბანაკში მიმდინარე მოვლენების აღწერა. ამ შემთხვევაში რუსეთის არმიაში: „მას შემდეგ, რაც აღკვეთილი იქნა ძირშივე მტრის ყველა განზრახვა, ყველა ამ პროვოკაციის ორგანიზატორმა ვლადიმერ პუტინმა შეწყვიტა თავისი მივლინება უცხოეთში, ჩამოვიდა ვლადიკავკაზში, შეკრიბა ყველა რუსი გენერალი, ორი საათის განმავლობაში მეტად უხეშად მიმართავდა მათ და აიძულებდა ყველა ბრძოლისუნარიან გაერთიანებას, ბრძოლისუნარიან სახმელეთო ძალების 90 პროცენტს — შემოსულიყვნენ ჩვენს ქვეყანაში, ამ პატარა ადგილზე". სააკაშვილმა არ დაივიწყა ავიაციის შესახებაც და აღნიშნა, თითქოს მთელი 200 რუსული თვითმფრინავი ბომბავდა მის სახელმწიფოს.

უფრო მეტიც, თურმე ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა სამხედრომ უამბო მას, რომ მფრინავებს არ უნდოდათ საქართველოსკენ წამოსვლა და მათ მაგივრად იძულებული გახდნენ ეს გაეკეთებინათ პოლკების მეთაურებს. საკმარისი გამოცდილება მათ არ გააჩნდათ, ამიტომ ჩამოყარეს ისინი ქართველებმა. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსებს ასეთ მოკლე დროში არ დაუკარგავთ იმდენი თვითმფრინავი, რაც მათ დაკარგეს საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში", — ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სააკაშვილმა ილაპარაკა აგრეთვე მსოფლიოს გაერთიანების მხარდაჭერაზე, გაიხსენა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც თბილისში ჩამოფრინდნენ ექვსი სახელმწიფოს ლიდერები, „დადგნენ იმ ადგილზე, რომელსაც დაბომბვა ემუქრებოდა". დასასრულ, როგორც მოსალოდნელია ასეთ შემთხვევებში, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ისეთი ერები, როგორიც ქართველი ერია, მსოფლიოში ცოტაა, და მან მადლობა გადაუხადა ყველა სამხედროს მამაცობისთვის.

ამით სააკაშვილის გადატვირთული პროგრამა არ დამთავრებულა. მოსწავლეებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ის ბათუმში გაფრინდა, სადაც მონაწილეობა მიიღო სანავიგაციო კოშკის „თავისუფლების ჩირაღდნის" საფუძვლის ჩაყრის ცერემონიაში. ეს ნაგებობა, პრეზიდენტის სიტყვებით, გახდება ქართული ეიფელის კოშკი, მომავალი საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის სიმბოლო. და კიდევ იგი გახდება „ევროპის ყველაზე მაღალი შენობა, რომელიც გამოჩნდება აფხაზეთიდან", — განაცხადა სააკაშვილმა.

ამ დროს ქართულმა ოპოზიციამ განახორციელა ღონისძიება, რომელსაც ეწოდება სამოქალაქო აღლუმი. მოქალაქეები იქ მართლაც ცოტა როდი ყოფილა. თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეიკრიბა დაახლოებით 50-60 ათასი კაცი. ოპოზიციის ხელმძღვანელებმა მათთვის მოამზადეს დოკუმენტი სახელწოდებით „მიმართვა დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მეგობრულად განწყობილ ადამიანებს".

ამ მგზნებარე მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ მოვუწოდებთ დასავლელ მეგობრებს, გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული რესურსი, რათა შეაჩერონ მოვლენათა ესკალაცია ქვეყანაში. ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს თავისუფალი არჩევნები და მშვიდობიანი გზით შეცვალოს ხელისუფლება". წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციის აზრით, სააკაშვილი უსათუოდ ჩაებმება ახალ ომში და გასწევს რისკს, დაკარგოს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. ამას გარდა მიმართვის ავტორებს აღელვებთ დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება, სიტყვის თავისუფლების შელახვა, კორუფცია და ტერორი ქვეყანაში. მას შემდეგ, რაც მიმართვა იქნა წაკითხული, მოქალაქეებმა თანდათან დაიწყეს დაშლა. ნაწილი კი, რაც ოპოზიციის პრაქტიკაში უკვე დამკვიდრდა, გაეშურა რუსთაველის პროსპექტისკენ, რათა გაეგრძელებინათ სამოქალაქო აღლუმი. უკვე იქ ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ დღეიდან აპირებენ დაიწყონ „ყველაზე რადიკალური მოქმედებანი". სახელდობრ, გადაკეტონ რკინიგზა თბილისში, რაც არსებითად მათ გააკეთეს კიდეც გვიან საღამოს. შემდეგი, სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა სიტყვებით, იქნება აეროპორტები.

Утро.ru

# საქართველოში სააკაშვილი-2 გამოჩნდა

**კრემლი კვლავ თავს ახვევს რუსეთის საზღვრებს მიღმა მყოფ სახელმწიფოებს თავისი შეიარაღებული ძალების განთავსებას, მაგალითად, ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში — საქართველოში.**

აქ მომხდარი მოვლენების ცენტრში მიხეილ სააკაშვილის ფიგურაა, რომელმაც ამას წინათ გადასინჯა თავისი სტილი. გაჩნდა სააკაშვილი-2. იგი საშუალებას აძლევს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მოახდინონ ტელეარხების მონოპოლიზება. იგი უკვე აღარ ლაპარაკობს ნატოში დაუყოვნებლივ შესვლაზე. მისი მხედველობა ძირითადად ფოკუსირებულია ევროპასა და ევროკავშირზე. მან ჩემთან აღიარა, რომ არ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას მანდატის გასვლის შემდეგ, ან შეცვლიდა კონსტიტუციას, რათა დარჩეს ხელისუფლებაში, როგორც ეს ვილაც პუტინმა გააკეთა.

ამ საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი ცდილობდა გადაექცია შავი ზღვა მაღალი ტურბოლენტობის ზონად, როდესაც ლამობდა ზეგავლენა მოეხდინა უკრაინაზე, საქართველოსა და რუმინეთზე (მოლდოვასთან დაკავშირებით). ყველგან, სადაც რუსეთს აქვს სიტყვისა და ხმის უფლება, ცდილობს მოახდინოს კრიტიკის ნეიტრალიზება მის მცდელობასთან დაკავშირებით აიყვანოს კონტროლზე მთელი რეგიონი. მაგრამ რუსეთს არ შეუძლია არც უბრძანოს ნატოს თავისი არჩევანი, არც შეწყვიტოს ნატოს სამშვიდობო სწავლება, არც შეუშალოს ხელი პარტნიორობის პროგრამას, რომელიც ამას წინათ აამოქმედა ევროკავშირმა.

ამჟამად სააკაშვილი იქცევა, როგორც ტოლერანტული დემოკრატი. წარმოდგენა საქართველოზე, როგორც ამერიკის კოლონიაზე, რაც მიზნად ისახავდა რუსი დათვის შემოტყუებას, გვერდზე მოისროლეს. ის, ვინც აკრიტიკებს პრეზიდენტის პოზიციას აგვისტოს ომის დროს, იზიარებს მის სურვილს, დაამკვიდროს საქართველო ევროატლანტიკურ გაერთიანებაში. ვაშინგტონმა და პარიზმა უფრო სერიოზულად უნდა განიხილონ ეს ახალი რეალიზმი და გაუგზავნონ ქართველ ხალხს ზუსტი სიგნალი: მართალია, რუსული დროშა ფრიალებს, რუსი მესაზღვრეები კი მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე, არც ევროპა, არც ნატო არ დაუშვებენ რუსეთის ახალი იმპერიის გამოჩენას შავ ზღვაზე.

**დენის მაკშეინი,**
დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

LE TEMPS

# ... რატომ ვეწევით ქართული ოპოზიციის პიარს?

**რატომაა, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საქართველოში საპროტესტო აქციებზე საუბრის დროს ასე აშკარად და ბოროტად ახსენებენ მ.სააკაშვილის რეჟიმის წარუმატებლობას? ნუთუ გასაგები არ არის, რომ ქართული ოპოზიციაც ასევე რუსოფობულადაა განწყობილი?**

**ი.კვიტრიკაძე, მოსკოვი**

— არ მიმაჩნია, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიზანსწრაფულად ახდენენ ქართული ოპოზიციის პიარს, — ამბობს სახელმწიფო დუმის დეპუტატი კონსტანტინ ზატულინი. — თუმცა იგი მართლაც დიდად არ განსხვავდება საქართველოს ხელისუფლებისგან. არც ერთი, არც მეორე, მაგალითად, არ აღიარებს შეცდომებს, რომლებიც დაკავშირებულია 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან სამხრეთ ოსეთში. მთელი სხვაობა ის არის, რომ სანამ ოპოზიციას ეჭვი აქვს სააკაშვილზე, რომ იგი დაკავშირებულია მოსკოვთან, საქართველოს პრეზიდენტი ასევე ეჭვობს ოპოზიციაზე... ამასშივე. სხვათა შორის, არაფერი გვეთქვა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არ იქნებოდა სწორი. ავიღოთ, თუნდაც, ყბადაღებული ამბოხება საქართველოს სამხედრო ნაწილში. ჩემი აზრით, ეს არის სააკაშვილის მორიგი პროვოკაცია, რათა გამოსტაცოს ინიციატივა ოპოზიციას და ამავე დროს გააშაოს რუსეთი.

მთლიანად ჩვენ ჯერჯერობით არც ვიცით, ვის ველაპარაკოთ. ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში ფიქრობს რევანშსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დიალოგი საერთოდ შეუძლებელია ნებისმიერ დონეზე. სანამ ცხელი თავები თბილისში არ გაცივდება, შეიძლება ვიფიქროთ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საელჩოების დონეზე, სატრანსპორტო ურთიერთობათა ნორმალიზაციაზე და ა.შ. ჩვენი ქვეყნების უბრალო მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## დედამიწის ზურგზე

**ამერიკის ციხეებში ყველაზე სასურველი კონტრაბანდული საქონელია მობილური ტელეფონები**

სამართალდაცვით ორგანოებში არ მალავენ, რომ ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც თავად მცველები ამარაგებენ კამერის ბინადართ ტელეფონებით. ერთ-ერთმა კალიფორნიელმა მცველმა აღიარა, რომ ამით მან გამოიმუშავა 100 ათასზე მეტი დოლარი შარშან — ორჯერ მეტი, რაც მის წლიურ ხელფასს შეადგენს.

* * *

**პაკისტანში აფეთქების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 30 კაცი**



100-ზე მეტმა მიიღო დაზიანება. პაკისტანის აღმოსავლეთით არსებულ ლახორში აფეთქდა ტერორისტი-თვითმკვლელი. მისი მიზანი იყო შენობები, რომლებიც პოლიციას უკავია, აგრეთვე დაზვერვის სამსახურების ოფისები.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აამოქმედა ბირთვული რეაქტორი და სამხრეთ კორეას ომით ემუქრება**

ამერიკის შეერთებული შტატების სამეთვალყურეო თანამგზავრებმა შენიშნეს რეაქტორის მუშაობის განახლება. წყაროების მონაცემებით, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას დარჩა მასალები 5-7 ჭურვისთვის, ხოლო თუ ქარხანა ამუშავდა, მაშინ წლის ბოლომდე შეიქმნება კიდევ ერთი ჭურვი. ფხენიანი დაემუქრა სეულს ომით.

* * *

**ინდოეთსა და ბანგლადეშში გრიგალ „აილასაგან" დაიღუპა 203 კაცი**



ქარის სიძლიერე აქტიურობის წერტილებში აღწევდა 120 კილომეტრს საათში. ციკლონური გრიგალი თავს დაატყდა რეგიონს თქეშით, ნალექების დონემ 25 სმ. შეადგინა. გრიგალი ძირიანად თხრიდა ხეებს და ანგრევდა სახლებს, წვიმებმა გამოიწვიეს წყალდიდობანი და ზვავები.

* * *

**მექსიკაში დააპატიმრეს 10 ქალაქის მერი ნარკომაფიასთან კავშირურთიერთობის გამო**

აღსანიშნავია, რომ დაკავებულ მერებს შორის არიან წარმომადგენლები ქვეყნის სამივე ძირითადი პოლიტიკური პარტიებიდან. ამიტომ მეთვალყურეთა უმეტესობა უარყოფს პოლიტიკური სარჩულის ვერსიებს არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნულია 5 ივლისისთვის.

* * *

**ახალი ზელანდიის პარკში ტურისტების თვალწინ თეთრმა ვეფხვმა დაგლიჯა ზედამხედველი**

ვეფხვი თავს დაესხა ერთ-ერთ მოსამსახურეს, რომელიც ვოლიერში შევიდა. პარკის ადმინისტრაციამ არ დაინდო იშვიათი ცხოველი, მკვლელი ვეფხვი მოკლეს უმალვე. ინციდენტის მნახველებს დასჭირდათ ფსიქოლოგიური დახმარება.



## პოეზია

# ნანა ღვინეფაძე

# ახალი ხელიყური

### 2008 წლის აგვისტო

ფიქრებს მირევს
სინამდვილე,
ვერაგული, მწველი...
შემობრუნდა
1921 წელი!..
ჩრდილოელი
ისევ ცდილობს
დაგვიბნელოს
მზე და მთვარე, –
მისი ავი საქმეები
ვთვალე, ვთვალე,
ვერ დავთვალე...
ძველებურად მოიმარჯვა
სასიკვდილო ცელი, –
შემობრუნდა ათასცხრაას
ოცდაერთი წელი!..
2008 წ. 29 აგვისტო
2009 წ. აპრილი

### დროება

კვლავ სისხლის ხანა
დაგვიდგა,
რუსები მამულს
გვართმევენ!..
საქართველოში
ახალგორს
ისევ ლენინგორს
არქმევენ!..
რა უნდათ
ქსნის ხეობაში
გადამთიელებს,
ხელმრუდებს?!
რად გვიბილწავენ
სალოცავს,
რატომ გვინგრევენ
ძველ ბუდეს?!
. . . . . . . . .
„დღეს სულ სხვა დროა,
სკვითობააო“ –
ასე ბრძანებდა აკაკი –
ეს იყო მწარე სიმართლე, –
ეს არ გეგონოთ არაკი!..
. . . . . . . . .
საქართველოში ახალგორს
ისევ ლენინგორს არქმევენ..
2009 წ. 26/III.

### სამძიმარი გურამ შარაძეს

თამარაშენი
აღარც ჩემია
და აღარც შენი!..
აღარც ლარგვისი, –
არც ყანჩაეთი, –
აღარც წირქოლი,
მამულაანი...
აღარც გავაზი?!.
ჩემი და შენი
მამულეთი
ტურფა, ლამაზი?!.
. . . . . . . .
აღარც ჩემია
და
აღარც შენი
ქსანი, ლიახვი,
თამარაშენი!..
2009 წ. 5 მაისი

### წირქოლის ფრესკა

ქსნის ხეობაში
წინაპართა
გაისმის კვნესა,
იქ სამი ბიჭი
დაობლდება, –
წირქოლის ფრესკა!..
ქსნის ხეობაში
რა უნდოდა
გადარჯულებულს,
ქესატს...
იქაურ ტყეეშიც
ხეებს
ოქროს ვაშლები ესხა!..
საფლავებიდან
წინაპართა
ძახილი მესმა!..
იქ მეგულება
სამი ბიჭი, –
წირქოლის ფრესკა!..
2009 წ. 23 აპრილი

### გულმყინვაროგა ჩვენი

ნუთუ ყველა მოგონება
წყალს მიაქვს და
იყინება!..
ეს პატარა ოაზისიც
იყიდება?!.



იყიდება?!.
უკვდავების წყლის
სათავე
შიშისაგან იყინება, –
თურმე ისიც,
თურმე ისიც
უმოწყალოდ
იყიდება!
მაგრამ...
მერე და მერე?!
. . . . . . . . .
ვითომ ყველა მოგონება
მყინვარივით იყინება?!.
2009 წ. 17 მარტი

### ჩემეული არჩევანი,

ანუ ვის ვინა სწამს...

*...„საჩინო ვითარცა მზე, ვარსკვლავთა შორის“ – მეფის მოძღვრის არსენ ბერის ენკომია დავით აღმაშენებელზე*

აღარ მინდა დიდ არჩევანს
ყური რომ შევაჩვიო, –
ძველ თბილისში
დღესაც ტაძრობს
მეტეხი და ანჩიო...
ერთი, ანუ ერთადერთი
როგორ გამოვარჩიო...
წარსულშიაც
ბევრი მიყვარს,
მათ ერთგულად
დავრჩიო, –
დღესაც ბევრი საამაყო
დავითი და დაჩიო!
ერთი, ანუ
ერთადერთი
როგორ გამოვარჩიო...
ძველ ქალაქში
დღემდე ტაძრობს
სიონი და ანჩიო!..
ისედაც ხომ ცოტანი ვართ,
ვინღა გამოვარჩიო?!
ვინც სამშობლოს ენაცვალა
მათ მლოცველად
დავრჩიო;
ერთი, ანუ
ერთადერთი
როგორ გამოვარჩიო...
2009 წ. 23 თებერვალი.

### სურათი ძამას ხეობაში

გაზაფხულია, –
გულიც ყვავილობს
ამ სილამაზეს
რა შეედრება, –
იქით ყინწვისი,
აქეთ ვედრება...
არ გაგიკვირდეს
ატმის ქოლგებქვეშ
მოგონებები
თუ გაბევრდება –
აქეთ ყინწვისი,
იქით ვედრება...
„ქრისტე აღდგაო,“
ო, ჭეშმარიტად,
ხსოვნა არასდროს
არ დაბერდება...
. . . . . . . . .
გაზაფხულობით
სულიც ყვავილობს,
გაზაფხულობით
სულიც ნედლდება...
2001 წ. აპრილი

### არამაისური ლექსი

მე ამ გრძნობას
ძლიერ დიდხანს
ვეფერე და
ვეომე...
სიყვარული
ერთია,
სინამდვილე მეორე...
. . . . . . . . .
მე ამ გრძნობას
თავიდან
ვეღარ გავიმეორებ!..
სიყვარული ერთია,
სინამდვილე მეორე!..
2009 წ. 2 მაისი

### ვინ არის?!

...მე მძინავს, გული კი მღვიძარეა
ჩემი, აჰა, მესმის ხმა ჩემი მეტრფისა,
რომელიც რეკავს: „გამიღე კარი“
ქებათა-ქება სოლომონისა

ვინ არის?!.
ვისი ჩრდილია?
გულდაგულ ვკეტავ
საგდულებს;
გული კი მაინც ელოდა, –
გული ვერ ჩადგა საგულეს..
ვინ არის?!
ვისი ლანდია?
კარებში
ვიწრო ჭრილია,
მაგრამ ვერაფერს
ვერ ვარჩევ,
რაინდია თუ მწირია...
– ვინ არის?
ხმასაც არ იღებს!
. . . . . . . . .
ალბათ წარსულის ჩრდილია...
2009 წ. 1 თებერვალი

## გამოსაშვები საღამო



# სამდღიანი ზეიმი

**კინოთეატრ „საქართველოს“ შენობაში დიდი ზეიმი გაიმართა 180 წარჩინებული მოსწავლის სკოლის დამთავრების აღსანიშნავად. ღონისძიებაში ნაძალადევის 26 საჯარო სკოლის მოსწავლეები, დირექტორები და პედაგოგები მონაწილეობდნენ.**

კინოთეატრს რეკონსტრუქციის შემდეგ თანამედროვე იერსახე მიეცა. იქ ყველანაირი პირობაა შექმნილი ახალგაზრდობის გასართობად. 180 მოსწავლე მათი სიმრავლის გამო სამ ჯგუფად დაიყო, ამიტომაც ზეიმი სამ დღეს – შაბათს, კვირას და ორშაბათს გაგრძელდა.

მოსწავლეებს და პედაგოგებს მიესალმა ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი, ღონისძიების ორგანიზატორი **მერაბ სამადაშვილი,** გამოვიდნენ პედაგოგები, დირექტორები და მოსწავლეები. რასაკვირველია, ყველამ მადლობა გადაუხადა დეპუტატს. მოსწავლეებს დაურიგდათ წიგნი „ახალი აღთქმა“.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. აქვე, დისკოთეკის დარბაზში უკრავდა საცეკვაო მუსიკა, ცეკვავდა ყველა.



ახალგაზრდებს, აგრეთვე, გადაეცათ საჩუქრები, გაიხარეს მოსწავლეებმა და მათმა პედაგოგებმაც. როგორც მერაბ სამადაშვილმა გვითხრა, ასეთი საღამოები ყოველწლიურად გაიმართება.

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

## ერთი საღამოს ხიბლი

# ვაშა, ქუთაისელებო!

**– ვაშა, ქუთაისელებო! ასეთი იყო კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილთა საერთო შეფასება ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კონცერტისა, რომელიც ამ შესანიშნავი სამუსიკო-აღმზრდელობითი კერის დაარსების 90 წელს მიეძღვნა.**

ქუთაისის სასწავლებელი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და დამსახურებული სამუსიკო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა, რომელიც სამართლიანად სარგებლობს მაღალი შემოქმედებითი და პედაგოგიური ავტორიტეტით. მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ქუთაისში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

პირადად მე ათეული წლების მანძილზე მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებდა და ახლაც მაკავშირებს სასწავლებლის მთელ კოლექტივთან. მრავალგზის დავსწრებივარ მის აღზრდილთა კონცერტებს ქუთაისშიც და თბილისშიც და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ კონცერტი, რომლის შესახებაც ახლა ვწერ, იყო საუკეთესო, უპირველესი თავისი მაღალი პროფესიული და მხატვრული დონით, გამოირჩეოდა საშემსრულებლო ჟანრებისა და სახეების მრავალფეროვნებით, ნორჩი მუსიკოსების ნიჭიერებით, პედაგოგიური ნამუშევრების კვალიფიციურობით.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სასწავლებლის დირექტორმა ქალბატონმა ენი არსენიძემ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწავლებლის ამჟამინდელ წარმატებებში.

შეუძლებელია კონცერტში მონაწილეთა სრული ჩამოთვლა, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭიერ სოლისტ შემსრულებლებთან – პიანისტებთან, სხვა ინსტრუმენტალისტებთან და ვოკალისტებთან ერთად, ვიხილეთ ნორჩი მომღერლების ფოლკლორული გუნდი „ნაი-ნაი“, რომელმაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა მთელ დარბაზს. პროფესიულად გამართული ანსამბლი წარმოგვიდგინეს სიმებიანი კვარტეტის მონაწილეებმა, რომლებმაც ჩინებულად შეასრულეს ს.ცინცაძის ცნობილი მინიატიურები. კონცერტი ღირსეულად დააგვირგვინა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო კოლეჯის გაერთიანებულმა გუნდმა, რომელმაც ჩინებულად შეასრულა ი.კეჭაყმაძის ახალი შესანიშავი საგუნდო ციკლი: „ქუთაისური სერენადა“, „გული“, „დრო მოვა“, „ვედრება“, „გაზაფხული“ (გუნდის ხელმძღვანელია ი.ლომინაძე, დირიჟორი ე. ფილიპაშვილიძ და დარბაზის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ზემოთქმულს დავუმატებ, რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კონცერტმაისტერებმა (აკომპანიატორებმაძ, მოგვეწონა ფრიად შინაარსიანი სპეციალური საგაზეთო გამოცემაც, მიძღვნილი სასწავლებლის საიუბილეო თარიღისადმი.

მოკლედ, დიდად კმაყოფილები დავბრუნდით ამ მშვენიერი საღამოდან. ვუსურვოთ საყვარელი ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის მთელ კოლექტივს ახალი, კიდევ მეტი წარმატებები.

**გულბათ ტორაძე**

შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის“ 2009 წლის 2 აპრილის დამფუძნებელთა კრების ოქმი №1 გადაწყვეტილებით მიმდინარეობს შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის“, შპს „დემას“ და შპს „ჯანმრთელი სამყაროს“ შერწყმა, სახელწოდებით შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“.

დირექტორი დავით ტატიშვილი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

ვითომ შეეშალათ?

# დააზუსტეთ მაინც!



„დინამოს“ სტადიონს რომ გუგუნი ახსოვს, ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი სპორტული სარბიელი ვერ დაიკვეხნის. ჯერ იგი 25 ათას მაყურებელს იტევდა, 1976 წელს დასრულებული პირველი რეკონსტრუქციის შემდეგ ეს რაოდენობა გასამმაგდა, ხოლო ამჟამად კიდევ ერთხელ განახლებული დედაქალაქის მშვენება...

აი, მივადექით მთავარს – მაინც, რამდენიათასიან აუდიტორიაზეა გათვლილი დიდუბეში ამაყად წამოჭიმული ეს უნიკალური ნაგებობა?

თუ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ 26 მაისს გაჟღერებულ ციფრებს დავუჯერებთ, ტრიბუნებს 58 000 სტუმრის მიღება შეძლებიათ, წყაროდ კი ჩვენმა კოლეგებმა ადმინისტრაცია დაასახელეს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ 2006 წელს გამოშვებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისადმი მიძღვნილ პროგრამებში რომ 63 000 წერია? მაინც, რომელი ირწმუნოს მაყურებელმა და მკითხველმა?

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სიუჟეტი „დინამოს“ სტადიონზე ოპოზიციის თაოსნობით ორგანიზებული საერთო-სახალხო თავყრილობის გაშუქებას ისახავდა მიზნად, ძალაუნებურად მივალთ დასკვნამდე: ხელისუფლების მართულმა ტელეარხმა „უნებლიე“ შეცდომა დაუშვა.

თუ ასე არ არის, საპირისპირო დაგვისაბუთოს ვინმემ.

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი

## კუპერისა და ცხადაძის რჩეულნი



**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები 6 და 10 ივნისს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს მოლდოვისა და ალბანეთის გუნდებთან.** ექტორ რაულ კუპერმა იმ 25 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ამ მატჩებში ითამაშებენ. ესენი არიან: **მეკარეები** – გიორგი ლომაია, გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ მამალაძე, **მცველები** – ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ფოფხაძე, ალექსანდრე კვახაძე, გურამ კაშია, დავით გიგაური, უჩა ლობჟანიძე, დავით კვირკველია, **ნახევარმცველები** – ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია, ლევან ხმალაძე, ლუკა რაზმაძე, დავით დევდარიანი, გიორგი სეთურიძე, მურთაზ დაუშვილი, **თავდამსხმელები** – ლევან მჭედლიძე, რატი ალექსიძე, ალექსანდრე იაშვილი, ლადო დვალიშვილი, ბექა გოცირიძე, ოთარ მარცვალაძე, გიორგი მერებაშვილი.

5 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოლდოველ თანატოლებს დაუპირისპირდება. ამ ორთაბრძოლისთვის კახა ცხადაძემ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო: **მეკარეები** – თორნიკე ზარქუა, გიორგი ლოსაბერიძე, **მცველები** – გიორგი გეთიაშვილი, ლაშა ჩადუნელი, ნიკა ჯიშკარიანი, ალექსი იობაშვილი, ბექა გიორგაძე, მურმან ქურასბედიანი, გიორგი ხატიაშვილი, ლაშა ცუცქირიძე, **ნახევარმცველები** – ამირან გოგიტიძე, ბორის მახარაძე, ბექა იოსელიანი, გიორგი განუგრავა, ვალერი ბოლქვაძე, გიორგი ჯანელიძე, დავით მაისაშვილი, მიხეილ ხოკერაშვილი, გიორგი კბილცეცხლაშვილი; **თავდამსხმელები** – გია ჭედია, ილია პავლიაშვილი, ელვინ მამედოვი, ზვიად ქანთარია, ირაკლი სიხარულიძე.

**გიორგი გაგუა**

ჭიდაობა

## იმედი – „იმედში“

**ოლიმპიური ჩემპიონის ლერი ხაბელოვის სახელობის სასპორტო კლუბ „იმედში“ ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მრავალი ჩემპიონის აღმზრდელის ნუგზარ გაჩეჩილაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. საასპარეზოდ 1996-1998 წლებში დაბადებული 174 ჭაბუკი ჩაება.** სოსო ბზარაშვილისა და გია ბაყაშვილის ინიციატივით გამართულ შეჯიბრებაში თითქმის მთელმა საქართველომ მოიყარა თავი. ნორჩმა ფალავნებმა გულშემატკივრებს ლამაზი ჭიდაობით დაამახსოვრეს თავი. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვალერი ფარჩუკიძე (რუსთავიძ, გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯოძ, ფერდო გონაშვილი (დედოფლისწყაროძ, კამანდარ ასკეროვი (მარნეულიძ, ელშან ნიფტალოღლი, აგილ მამედოვი (ორივე – ქარელიძ, ლექსო კილაძე (რუსთავიძ, ტარიელ გაფრინდაშვილი, შოთა ბასილაშვილი (ორივე – თბილისიძ, გიგა მეშველიანი (რუსთავიძ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩვენებურები



## ალალია!

**მოდი და ნუ გაიხარებ: ქართველ 90-იანელთა თაობის ღირსეული წარმომადგენელი, პროფესიონალიზმით გამორჩეული სამაგალითო პიროვნება თემურ ქეცბაია საბერძნეთის ჩემპიონ პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.**

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს მისი კანდიდატურა „ჯვაროსანთა“ თავკაცის პოსტზე განიხილებოდა, მაგრამ ჩვენმა თანამემამულემ არჩევანი კვიპროსულ „ანორთოსისზე“ შეაჩერა და მას არნახული წარმატება მოუტანა – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გაიყვანა, სადაც შთამბეჭდავი თამაშით დაგვამახსოვრა თავი.

ვიმედოვნებთ, რომ „ქეცბა“ ამბიციურ ელადურ კლუბშიც იტყვის თავის ომახიან სიტყვას, რასაც სულით და გულით ვუსურვებთ.

რაც შეეხება სამწლიანი კონტრაქტის ფინანსური მხარის შესახებ ინფორმაციას, იგი კონფიდენციალურობის გამო უცნობია.

**გიორგი შოთაძე**

პლაჟბურთი

## ვიკინგებთან სტუმრობამდე

**ნორვეგიაში 25 ივნისს პლაჟბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც ჩაებმებიან.** ვიკინგებთან სტუმრობამდე ჩვენი გუნდები საერთაშორისო ტურნირებზე მოსინჯავენ ძალებს. ვაჟები (გეორ-გიაძ მსოფლიო კვალიფიკაციაში 480 ქულით მე-11 ადგილზე არიან. ისინი პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში იასპარეზებენ. ქალები (საქა-რთველოძ ამდენივე ქულით მე-13 საფეხურზე იმყოფებიან. მათ კორეის დედაქალაქი სეული მასპინძლობს.



ფარიკაობა

## იტალიელთა კარნახით



**ასე აფასებენ სპეციალისტები მოფარიკავე ქალთა პირად ტურნირს „სანკტ-პეტერბურგის რაპირა“.** კვარცხლბეკზე ავიდნენ: დიდად გამოცდილი ვალენტინა ვეცალი, 20 წლის არიანა ერიგო და მარგარიტა გრანბასი. ფინალში ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვეცალის მოულოდნელად სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ახალგაზრდა ერიგომ, ვალენტინამ მხოლოდ ერთი ჩხვლეტის უპირატესობით მიაღწია გამარჯვებას – 15:14.

გუნდური ტურნირის ნახევარფინალში იტალიელებმა დაამარცხეს ჩინელები – 42:28, ხოლო ფინალში – პოლონელები – 45:43.

ინტერნეტიდან

### სამშობლოს ჯილდოები „შახტარს“

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ უეფას თასის მოპოვებისთვის სამშობლოს ჯილდოები გადასცა დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელებსა და იმათ, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ გამარჯვებაში. სახელმწიფოს მეთაურმა ორდენები და მედლები გადასცა 50 კაცს. დაჯილდოებულთა შორის ფეხბურთელებისა და მწვრთნელების გარდა, არიან კლუბის მენეჯერები, ადმინისტრატორები, ექიმები, მასაჟისტები.**

II ხარისხის ორდენი „დამსახურებისთვის“ გადაეცა „შახტარის“ მთავარ მწვრთნელს მირჩო ლუჩესკუს. ეს რუმინელი მწვრთნელისთვის მეორე უკრაინული ორდენია. ასევე, მაგრამ III ხარისხის ორდენით ის სამი წლის წინათ დააჯილდოვეს უკრაინის ნაკრებისთვის მოთამაშეების მომზადებისთვის.



აღსანიშნავია ისიც, რომ რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ მირჩო ლუჩესკუ დააჯილდოვა ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი – „რუმინეთის ვარსკვლავით“.

დაჯილდოებისას პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ „შახტარის“ გამარჯვება ბრწყინვალედ მოიხსენია და აღნიშნა, რომ ამ კლუბს გულშემატკივრობდა არა მხოლოდ მთელი უკრაინა, არამედ მილიონობით ადამიანი უცხოეთშიც. მან ასევე აღნიშნა, რომ სტამბოლში ის შეხვდა პატრიარქ ბართლომეოსს და სთხოვა, ელოცა უკრაინული კლუბისთვის.

მადლიერებმა იუშჩენკოს გადასცეს კლუბის სახელობითი მაისური №20.

### სკოლარი – უზბეკეთში?



**როგორც ამბობენ, ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი, ინგლისური „ჩელსის“, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებების ყოფილი დამრიგებელი ლუის ფელიპე სკოლარი უახლოეს დღეებში სათავეში ჩაუდგება უზბეკურ კლუბს „ბენედკორს“.**

როგორც ერთ-ერთ ბრაზილიურ ტელეარხს სკოლარის აგენტმა აკას ფელეგერმა განუცხადა, სკოლარი უახლოეს დღეებში გადაწყვეტს თავის მომავალი კარიერის საკითხს. „ახლა ის განიხილავს რამდენიმე კლუბის, აგრეთვე ევროპისა და აზიის რამდენიმე ნაკრების წინადადებებს. მათ შორისაა უზბეკეთის „ბენედკორიც“. სკოლარი ამას წინათ ყოფილა უზბეკეთში, სადაც კლუბის ხელმძღვანელობასთან განუხილავს შესაძლო სამუშაო მოწყობაზე.

„კვირის ბოლოს სკოლარიმ თავისი გადაწყვეტილება უნდა გამოაქვეყნოს“, – განაცხადა აგენტმა.

### „პლეიბოიდან“ წასვლის შემდეგ

**„PLAYBOY“-ს ვარსკვლავი და ეროვნული საფეხბურთო ლიგის კლუბის „ფილადელფია იგლზის“ მოთამაშის ხენკ ბასკეტის საცოლემ კენდრა უილკინსონმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ აპირებს საკუთარი ტელეშოუს შექმნას. ამჟამად მგზნებარე ლამაზმანი მონაწილეობს ტელეშოუში „ქალიშვილები კარს უკან“. მაგრამ საკუთარი ტელეპროგრამითაც უნდა ბედის ცდა.**

ქალიშვილს უნდა, რომ მისი ცხოვრება უფრო აღვსილი იყოს. „პლეიბოიდან“ წასვლის შემდეგ სკანდალურ ინტერვიუში მან გათათხა „პლეიბოის იმპერიის“ შექმნელი ჰიუ ჰეფნერი. შემდეგ კი დაუახლოვდა ამერიკის ფეხბურთის ცნობილ მოთამაშეს ხენკ ბასკეტს. „ყველაფრის მცოდნე“ ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ კენდრა უილკინსონის ახალ შოუს ძალზე ორიგინალური სახელი ექნება – „კენდრა“.



ხელოვანი და დრო

# სამშობლო — ბოლო ნავსაყუდელი

**აგერ, ენრიკო ჯანელიძეს ვხედავ პარლამენტის წინ, მომიტინგეთა ტრიბუნაზე. ეტყობა, „გადავარდა“ პოლიტიკაში, გუშინწინ გიორგი შენგელაიას მიერ გამართულ კონცერტზე გამოვიდა ცნობილი ესტრადის მომღერალი.**

— რა ვქნა, ძმაო, — მეუბნება, მეორე დღეს რომ ვნახე და ერთმანეთი მოვიკითხეთ, — მე მინდა ჩემი ხალხის ტკივილი გავიზიარო, მათ გვერდით დავდგე, ამდენი უსამართლობის ატანა როგორ შეიძლება?! მარტო კონცერტებზე ხომ არ შევხვდები ხალხს?

**— წარმოიდგენდი, ასეთი არეული ქვეყანა თუ დაგხვდებოდა?**

— რას იზამ, როგორც ბატონი ჯანსული ამბობს, „თავისუფლება ისე არ მოდის“...

* * *

გასული საუკუნის 70-იანი, 80-იანი წლების პოპულარულმა საესტრადო მომღერალმა, ქართული როკენ-როლის მეფედ აღიარებულმა ენრიკო ჯანელიძემ თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია თითქმის მთლიანად ზღვებსა და ოკეანეებს, ანუ გემებით მოგზაურობას დაუკავშირა და სამშობლოში გვიან ჩამოვიდა... იგი დღესაც, თავისი 60 წლის ასაკშიც, ძველებურად ლაღი, სიცოცხლით სავსე და არტისტულია. თუმცა მანამდე იყო თბილისის 67-ე საშუალო სკოლა და ქართულ ჰანგებთან ზიარება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვაჟთა ვოკალური გუნდი და თემურ ქევხიშვილის შეგირდობა, შემდეგ საესტრადო სასწავლებელი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორების — გოგი ცაბაძის, ლილი იაშვილის, ვაჟა აზარაშვილის და ...ვათა პოპულარული სიმღერების უზადო შესრულება და მალე იგი უკვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტია — მღერის საესტრადო ანსამბლებში — „არმაზი“, „ლილე“, „ოროველა“... შემდეგ საკუთარ საესტრადო ანსამბლ „სალალობოს“ ქმნის და იწყებს კიდეც სრულიად სხვა ცხოვრებას.




— 1976 წელს, — მიამბობს იგი, — ფილარმონიაში ოდესის საზღვაო სამმართველოდან მოვიდა წერილი, იქნებ როგორმე თქვენი საესტრადო ანსამბლი 6 თვით გაემგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში და გემზე მოემსახუროს მგზავრებსო. არჩევანი ჩვენზე შეჩერდა და ასე აღმოვჩნდით მე და ანსამბლი „სალალობო“ ახალ ორლეანში გემ „ოდესაზე“... ვემსახურებოდით ამერიკელ, ფრანგ, იტალიელ, ინგლისელ ტურისტებს...

**— და ასე გახდით „მეზღვაურები“?**

— მაშ... შემდეგ იყო მიწვევა გემებზე — „მაქსიმ გორკი“, „შოთა რუსთაველი“, „გრუზია“, „ბელორუსია“, „ივან ფრანკო“, „ტარას შევჩენკო“, „პეტრე I“... ეს იყო საუკეთესო წლები, შეხვედრები სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტის, მუსიკალური გემოვნების ადამიანებთან... ოლონდ, თავის ქებაში ნუ ჩამითვლით და ყველგან ვრჩებოდი ქართველად. საქართველოს ვერაფერი შეედრება, თუმცა ორასი ქვეყანა მაქვს ნანახი... ისე, სხვაგვარად, ვერც ვიოცნებებდი მათ ნახვას...

**— ესე იგი, მადლობა ოდესის საზღვაო სამმართველოს?..**

— რა თქმა უნდა... უიშვიათეს ადგილებშიც კი შევდიოდით, ბერმუდის სამკუთხედი, მაგალითად, რამდენჯერმე გავიარეთ... გადატანილი მაქვს უამრავი შტორმი... სხვათა შორის, ჩვენს სიახლოვეს ჩაიძირა გემი „ესტონია“...

**— კარგად გაგიძლიათ...**

— სათქმელად ადვილია... თუმცა სურვილი მიზნის მიღწევისა, ეტყობა, ყველაფერს ძლევს...

**— რა მიზანს გულისხმობ?..**

— რომ მეტ და მეტ უცხოელს გაეცნო ქართული ანსამბლის ოსტატობა. ჩვენ ხომ უცხოურთან ერთად ქართულ სიმღერებსაც ვმღეროდით... სრულდებოდა საცეკვაოებიც — „ტანგო“, „ვალსი“, „სამბა“, „რუმბა“, „როკ-ენროლი“, „ტვისტი“... პირდაპირ ცეცხლს ვანთებდით გემებზე...

**— და მაინც ბოლო ნავსაყუდელი სამშობლოა, არა?..**

— სხვაგვარად როგორ იქნებოდა...

**ჰოდა, 1994 წელს ჩამოვიდა ენრიკო თბილისში, მუშაობდა, საქტელერადიოკომიტეტის საესტრადო ორკესტრში, იყო გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყანაში, მისი სიმღერების მიხედვით შეიქმნა რამდენიმე კლიპი, რომელთა რეჟისორიც თვითონ არის. უნიჭიერეს კაცს, ყველა ასაკის მსმენელისა და მაყურებლის საყვარელ მომღერალს, დატვირთული შემოქმედებითი მოღვაწეობა ხელს არ უშლის, რომ საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამორჩეული იყოს.**

**ამიტომაც დგას ახლა იგი თავისი ხალხის გვერდით, სამართლიანობის გვერდით... საქვეყნო საქმე მისი საქმეა!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

სანთელი

# ნიკოლოზ ხატიაშვილი



ნიკოლოზ ხატიაშვილი დაიბადა 1928 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1962-76 წწ, მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1976-2002 წწ ხელმძღვანელობდა ი. კონიაშვილის სახელობის საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს, ამ პერიოდში მან შესძლო მოეხდინა ინსტიტუტის სამეცნიერო ძალების კონცენტრირება და მისი მიმართვა კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, რამაც ხელი შეუწყო ინსტიტუტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას, მისი ინიციატივით პრაქტიკაში დაინერგა უცხოელებთან ერთობლივი შრომათა კრებულების გამოცემა, ერთობლივი კონფერენცია-სიმპოზიუმების ჩატარება. ინსტიტუტის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტთან უწყებათაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს ჩამოყალიბება, რომელსაც შეუცვლელად თავმჯდომარეობდა ბატონი ნიკო. აღნიშნული საბჭოს წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასის გამოცემა, რომლის მთავარი რედაქტორი და ერთ-ერთი შემსრულებელი ბატონი ნიკო გახლდათ. ვინაიდან აღნიშნულ ატლასს ანალოგი არ გააჩნია, მის შემქმნელ შემოქმედებით ჯგუფს მიენიჭა მეცნიერებაში საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ნ. ხატიაშვილი იყო 135 სამეცნიერო ნაბეჭდი შრომის, მრავალი წერილის და პუბლიკაციის ავტორი, რომლებიც ეხებოდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის აქტუალურ საკითხებს. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის მშვენიერი მონოგრაფიები, რომლებიც მიუძღვნა ბავშვობის მეგობარს, უდიდეს მომღერალს ზურაბ ანჯაფარიძეს, გამოჩენილ მუსიკოსს ვალერიან ქაშაკაშვილს, ფიზიოლოგ მიხეილ ხანანაშვილს.

ბატონი ნიკო ყველაფერთან ერთად დაჯილდოებული იყო უდიდესი სიყვარულის უნარით, სწორედ უდიდესმა სიყვარულმა მოასინჯვინა კალამი პოეზიაშიც, რისი დამადასტურებელიცაა ლექსების კრებული „სადაც არ ვიყავ და რაც არ ვნახე, სულ თვალწინ მედგა მე შენი სახე“, რომელიც მიუძღვნა საყვარელ მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს.

1989 წელს მიენიჭა ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, იყო ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონ ნიკოს ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამშრომლებისა და მრავალრიცხოვანი მეგობრების ხსოვნაში.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი — საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;
საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების ასოციაცია

პატივგება

# აღესრულა ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი

თვალსაჩინო მეცნიერი, ბრწყინვალე პიროვნება, ჩინებული კალმოსანი — მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ პროფესორი ნიკო ხატიაშვილი, რომელზეც, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე მხოლოდ წარსულში შეიძლება საუბარი.

ერთ ადამიანს ღმერთმა ასე უხვად მომადლოს ნიჭი და სიკეთე, უდიდესი შრომის უნარი, სიბრძნე და სიდარბაისლე — ეს ძალზე იშვიათია და ალბათ, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთი გახლდათ ბატონი ნიკო ხატიაშვილი, რომელიც იმის მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა იცხოვრო და ილვაწო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

„მე მეშინია იმგვარი სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და მასზე უარესია“. პროფესორ ნიკო ხატიაშვილის სიცოცხლე იყო მეტად შინაარსიანი, ლამაზი, მრავალმხრივი. ეს იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და ამ უთავბოლო და უწესრიგო წუთისოფელში მისი ტკივილით გულნატკენი. წავიდა ჩუმად, უპრეტენზიოდ, არავინ არ შეუწუხებია და თან გაიყოლა ქვეყნის დარდი.

ბატონი ნიკოს სახელს დავიწყების ფერფლი არ წაეყრება. მადლიერი საზოგადოება სათუთად შეინახავს მის ხსოვნას.

*უდიდესი პატივისცემით*
**როზეტა ასათიანი**

## განცხადება

**საქართველოს „გადახდისუუნარიანობის საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 38 მუხლის შესაბამისად სააქციო საზოგადოება „ქუთბარიტის“ გაკოტრების მმართველი ლერი კუკულაძე 14 ივნისს აცხადებს აუქციონს ქ. ქუთაისში მოვალის სს „ქუთბარიტის“ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, წერეთლის №170ა-ში.**

**ქონება შედგება:**

1. ადმინისტრაციული შენობა.
2. საამქრო.
3. კალციტის ფაბრიკა (წყალტუბო, სოფელი ჟონეთი).
4. ბაჯიორის უბანი (წყალტუბო. ს. დერჩი)
5. საწარმოო მარაგები.
6. მიწის ნაკვეთი ქ. ქუთაისში 5044 $м^2$.
7. სხვადასხვა სწრაფცვეთადი საგნები.

სააქციო საზოგადოება „ქუთბარიტის“ საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 1072604 ლარს.

აუქციონში მონაწილეობის უფლება შეუძლია ყველა პირს, რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისი, წერეთლის № 170ა.**

**ტელეფონი: 8231 4-63-00 ან მობილური:** 899 961639.

**საკონტაქტო პირი ლ. კუკულაძე.**

**განცხადების მიღება აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე წარმოადგინეთ ქ. ქუთაისი, წერეთლის №170ა-ში.**

**გაკოტრების მმართველი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

მეუღლე ეთერი, შვილი რეზო, და მერი, ძმები ალიკა, ჟორა, დისწულები მანანა, მაია, ლიანა ჯალაღონიები, ძმისწულები მაია, ეკა, თეა, სოფიკო, პაატა, ცისკარა, რძლები დოდო გიგიბერია, ფინტურია, სიძე გივი ჯალაღონია, დეიდაშვილები სულიკო, სახი ჯიჯელავები, ბიძაშვილი ჟორა სახეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ხარიტონის ძე სახეიშვილი

დაკრძალვა 30 V, 15 სთ, ქ. სენაკი, ვახანიას ქ. 23.

---

ნუგზარ ფოფხაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ივანე ბასილაძე და „გრიფინ-ჯგუფი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ რეზო სახეიშვილს მამის ბატონ

რეზო სახეიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი და პროფესიული კავშირის თბილისის საქალაქო საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ღირსეული მოქალაქე და კარგი მეგობარი

გივი ცხენოსანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი — საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული კურორტოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ინდოეთის, ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი, სახელმწიფო და ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი

ნიკოლოზ ხატიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოში ფიზიოთერაპევტთა და ექიმ კურორტოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, აკადემიკოსი

ნიკო ხატიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სულიერება

# უფლის ამაღლება

**28 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას.** აღდგომიდან მეორმოცე დღეს იესომ გაიყვანა თავისი მოწაფეები ბეთანიამდე, აღაპყრო ხელნი ზეცისკენ და აკურთხა იქ შეკრებილნი... კურთხევისას თანდათან დასცილდა მათ, ცად ამაღლება დაიწყო და მალე ღრუბლებში გაუჩინარდა...



უფლის ამაღლებით ზეცა და მიწა შეერთდა, ზეციური მიწიერს შეურიგდა.

* * *

**28 მაისს უფლის ამაღლების დღესასწაულზე საქართველოს სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს იმ ათასობით ქართველს, რომლებიც უსჯულოებმა მოწამეობრივად აღასრულეს (შაჰ-აბას I დროსძ.**

ჩვენი მეცნიერები, ისტორიკოსები, ასევე ირანში მცხოვრები ქართველები პატივს მიაგებენ წინაპართა მოწამეობრივ ღვაწლს: მიდიან მათი მარტვილობის ადგილებზე (ერთ-ერთ მათგანს **ამაღლება** ჰქვიაძ, ეამბორებიან მამა-პაპათა სისხლშემშრალ ქვებს...

...უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ვიზიტისას ირანში, მისი უწმინდესობის მიერ საქართველოდან ჩატანილი მიწა, როგორც სამშობლოდან მოძღვნილი საჩუქარი და წყალობა, ადგილობრივმა ქართველებმა სასოებით მოაყარეს წინაპართა მოწამეობრივ ადგილს.

**გიული ლიპარტია**

გუშინ — დღეისთვის

## სახელმწიფოს მართვა ლობიოობა არ არის

**ინგლისელები თავიანთი ამერიკული კოლონიების მოსახლეობას ყველანაირად ავიწროებდნენ: არ აძლევდნენ თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობას, ხელს უშლიდნენ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, ახდევინებდნენ უამრავ გადასახადს და ა. შ.**

კოლონისტები ითმენდნენ მეტროპოლიისგან ასეთ ჩაგვრას, მაგრამ, როდესაც 1765 წელს ინგლისის პარლამენტმა ადგილობრივ მოსახლეობას ე. წ. საგერბო გადასახადი დაუწესა (საგერბო გამოსაღებით იბეგრებოდა ყოველივე ის, რაც დაკავშირებული იყო ქაღალდთან:



წიგნები, გაზეთები, დოკუმენტები, აგრეთვე, თითოეული სავაჭრო გარიგება, ამიტომ, ამ გადასახადმა კოლონისტების დიდი უმრავლესობის ინტერესები შელახაძ, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას მძიმე ტვირთად დააწვა, ამერიკელები აღშფოთდნენ: გადასახადის ამკრეფ მოხელეებს გარეთ აგდებდნენ, მათს სახლებს წვავდნენ, ინგლისიდან შემოტანილი ქაღალდის გადმოტვირთვის უფლებას არ აძლევდნენ. ყველა საქმიანობა ჩაკვდა, ვაჭრები დუქნებს კეტავდნენ, პოლიცია უარს ამბობდა, ემოქმედა ამბოხებული ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ, მეტროპოლია იძულებული გახდა, დაეთმო — გააუქმა საგერბო გამოსაღები.

დასკვნა: სახელმწიფომ განსაკუთრებული კონტროლი უნდა დააწესოს იმ ორგანიზაციებზე, რომელთა საქმიანობა მოსახლეობის ფართო ფენებზე ვრცელდება. მაგალითად, ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე ურთიერთობა აქვს სამართალდამცავ სტრუქტურებთან და, ბუნებრივია, მათი კარგი თუ ცუდი მუშაობა ინსტინქტურად უკავშირდება სახელმწიფოს მესვეურებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას.

**ამიტომ თბილისის ქუჩებში მიმდინარე მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციების გამომწვევ მიზეზებში საქართველოს პროკურატურის, შსს და სასამართლოს ვოლუნტარისტულ, არაპროფესიონალურ საქმიანობას ლომის წილი აქვს.**

## მოულოდნელი რევოლუცია

**XIX საუკუნის 50-იან წლებში გერმანულ სახელმწიფოებში ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნისთვის მოძრაობა კვლავ გამოცოცხლდა. ამ ფაქტმა შეაშფოთა მონარქები, მაგრამ მათ რეპრესიების განახლება ვერ გაბედეს.**

საქსონიის მინისტრი ბეისტი შექმნილი ვითარების შესახებ წერდა: „თანამედროვე მდგომარეობას ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია. ჩვეულებრივად, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოძრაობასთან, რომელსაც კონსტიტუციის დამხობა სურს, მაშინ ამ კონსტიტუციას ცვლიან ან ებრძვიან ამ მოძრაობას. აქ არც ერთს აკეთებენ და არც მეორეს. ეს შეიძლება მოულოდნელად რევოლუციით დამთავრდეს“.

**ვაჟა თვალავაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

თუ გსურთ, რომ თქვენს ქმარს ბევრი ფული ჰქონდეს, ნუ დაუცარიელებთ მას ჯიბეებს.

* * *

— ოდესმე გამოგიძახებია ბინაზე მექავი?

— ერთხელ...

— მერე?

— რა მერე. ვისხედით, ვისაუბრეთ... გავიხსენეთ, როგორ განვქორწინდით ორი წლის წინათ...



* * *

ქალი მთელი ცხოვრება ელოდა მას. მაგრამ თუ იგი ასე მოულოდნელად დაბრუნდებოდა მივლინებიდან, ნაღდად არ ელოდა...

* * *

ანჟელინა ჯოლი თურმე ბავშვობაში ამწის მემანქანეობაზე ოცნებობდა.

აი ასე ამსხვრევს ჰოლივუდის მკაცრი რეალობა მყიფე ბავშვურ ოცნებებს.

დაიჯესტი

## ასტროეგზოტიკა

**დაბადების თარიღით შეგიძლიათ გაიგოთ, პირამიდების ქვეყნის თუ რომელი ღმერთის ზეგავლენით ჩამოყალიბდა თქვენი ხარისხი.**



**ოსირისი**

ესაა გარდაცვლილთა ქვეყნის მმართველი, მას თვით სიკვდილიც კი ემორჩილება. ღმერთი ოსირისი განახლების სიმბოლოა.

**დაბადების პერიოდები:** 1– 10 მარტი; 27ნოემბერი – 18 დეკემბერი.

**ხასიათი:** ცნობისმოყვარე, მეტად მგრძნობიარე. ამ დროს დაბადებულებს მეტად განვითარებული ინტუიცია აქვთ, ისინი ადამიანებს უმალვე გამოიცნობენ ხოლმე. მათ უყვართ თავგადასავლები, ორიგინალური მოქცევა. ზოგჯერ დეპრესიის პერიოდები აქვთ, რომლის გადატანაში უკეთესის რწმენის დიდი იმედი ეხმარებათ. ამასთან, არ ჰყოფნით საკუთარი თავის რწმენა, პასუხისმგებლობის გრძნობა და მოჭარბებული მგრძნობიარობა კი ხელს უშლით. ისინი მეგობრობას სიყვარულზე მაღლა აყენებენ.

## პირველადი მანტიის ნარჩენები



**მსოფლიოში უძველესი ქვები ესკიმოსების დასახლება ინიუკიაუკიდან 40 კილომეტრის მოშორებით, ჰუძონის ყურის პირას აღმოაჩინეს. მათი ასაკი გეოლოგებმა 4,3 მილიარდი წლით (!ძ განსაზღვრეს.** ეს აღმოჩენა მეცნიერებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ცნობების მოპოვებაში დაეხმაროს ისეთ საკითხში, როგორიცაა ინფორმაცია დედამიწის ჩამოყალიბების ეპოქის შესახებ, რომლის ასაკი 4,5 მილიარდი წლითაა განსაზღვრული. ვარაუდობენ, რომ ეს ქვები შესაძლოა, დედამიწის პირველადი ქერქის ნამსხვრევები იყოს, რომლებიც მანტიას პლანეტის ჩამოყალიბებისთანავე ჩამოსცილდნენ.

აქამდე, მსოფლიოში უძველეს ქანად უხეშფიქალა წარმოშობის გნეისებს მიიჩნევდნენ, რომლებსაც ასევე კანადის ტერიტორიაზე მიაგნეს – მათი ასაკია 4,03 მილიარდი წელი.

## უმუშევარი ლორდი

**ავსტრალიელმა დომინიკ ლეტემმა პაპისგან მემკვიდრეობით ლორდის ტიტული მიიღო.** ლორდთა პალატაში მისაღებად აუცილებელი ფორმალობების მოსაგვარებლად მას ლონდონში ჩასვლა დასჭირდა, რისთვისაც საჭირო თანხას ძლივს მოუყარა თავი, ხოლო შესაფერისი ტანსაცმელი ქირით გამოიტანა. ინგლისიდან ავსტრალიაში დაბრუნებულმა ახლადგამოცხვარმა ლორდმა თავისი ტიტული... სიდნეის შრომის ბირჟაზე უმუშევრად რეგისტრაციისთვის გამოიყენა. როგორც ჩანს, ცისფერი სისხლი უბრალო თანამდებობაზე მუშაობის საშუალებას არ აძლევს, მაღალ პოსტს კი არავინ სთავაზობს.



## „ლევისის“ ქანდაკებები



**საქვეყნოდ ცნობილი ჯინსის მწარმოებელმა ფირმა „ლევი სტრაუსმა“ ამერიკის გზატკეცილების გასწვრივ 160 ათასი კუბური მეტრის ტევადობის გაზით სავსე, მრავალსართულიანი ჯინსის „ქანდაკებები“ დადგა.**

აღნიშნავენ, რომ სარეკლამო კომპანიამ კარგი შედეგი გამოიღო და „ლევი“ კიდევ უფრო მეტად პოპულარული გახდა.

## ხულიგნობის გენი

**ამერიკელმა კრიმინალისტებმა... ხულიგნობის გენს მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ მოზარდთა აგრესიულ მოქცევაში დამნაშავეა არა მარტო ცუდი გარემოცვა, არამედ ცუდი მემკვიდრეობაც.** 1816 უფროსკლასელის დნკ-ს ანალიზის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოზარდების სხვადასხვა დაჯგუფებაში მონაწილეობა DAT გენის ვარიაციას უკავშირდება, რომელიც ალმგზნები გენის დოფამინის ნერვულ უჯრედებში მიწოდებაზეა პასუხისმგებელი.

საგულისხმოა, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ ბიჭებისთვისაა დადგენილი, თუმცა ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ როგორც ჭაბუკები, ასევე ქალიშვილები.



**უცხოური პრესის მიხედვით**

კადრი



— გრიპის დიაგნოზი არ დამიდასტურდა!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.